სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 9 თებერვალი 2005 №27 (2350) ფასი 50 თეთრი

მოდი, ნახე

ჭირესი უთამაშებლებით და ორი გამთამაშებლით ითამაშებს

ბაფრი ჯეთილაძის ფოტოები



სიგარა, მზე და თბილისი

ინტერვიუ ალბიმანტას ლიუბინსკასთან

პრესკონფერენციაზე ფედერაცია ვერ მოვიდა

მიზეზი: მელიქია ჟორჟიკაშვილის ნაცვლად

გუშინ გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელმაც ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რასაც ალბათ სკანდალი მოჰყვება — საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად კობა ჟორჟიკაშვილის მაგივრად ლევან მელიქია დაამტკიცა.

აღმასკომის შემდეგ პრესკონფერენცია კი მოეწყო, მაგრამ ჟურნალისტების წინაშე მხოლოდ ფედერაციის პრეს-სამსახურის უფროსი ლევან სალუქვაძე წარდგა. უცნაური იყო, რომ პრესკონფერენციას ფედერაციის არც ერთი მაღალჩინოსანი არ ესწრებოდა, მაგრამ ამის მიზეზს ბოლოს მივხვდით, როცა სალუქვაძისგან შევიტყვეთ, რომ 17-წლამდელთა ნაკრებს მელიქია გაწვრთნის.

პრესკონფერენციას ფონად გასდევდა ფედერაციის დერეფნებიდან შემოსული ხმაური, აღშფოთებული, ხმააწეული ლაპარაკი და ამ დროს სად იყვნენ შეყუჟულები ფედერაციის ხელმძღვანელები, ვერ გეტყვით.

იხილეთ მეორე გვერდი

მელიქია ჟორჟიკაშვილის ნაცვლად

აღმასკომზე დატრიალებული სიუჟეტი კი სალუქვაძისგან შევიტყვეთ. ჟორჟიკაშვილის კანდიდატურის სასარგებლოდ სიტყვით გამოვიდა აღმასკომის წევრი ნიკა დოლიძე და მისი არგუმენტი ასეთი იყო — ჟორჟიკაშვილს ამ ასაკობრივ ნაკრებში ადრეც უმუშავია და გარკვეული წარმატებებიც ჰქონია, კიდევ ის, რომ ახლანდელი 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეთა 50 პროცენტზე მეტს ჟორჟიკაშვილის ხელში გაუვლია.

ჟორჟიკაშვილის საპირისპიროდ და მელიქიას მხარდასაჭერად აღმასკომის ორი წევრი გამოსულა — ვლადიმერ გუცაევი და ალექსანდრე ჩივაძე. მათ არგუმენტად ის თქვეს, რომ მელიქია იმ ასაკის ფეხბურთელებთან მუშაობს, რომლებითაც უნდა დაკომპლექტდეს 17-წლამდელთა ნაკრები და რომ მელიქიას ობილისის „დინამოში", ქუთაისის „ტორპედოში" და ლანჩხუთის „გურიაში" უთამაშია.

აღმასკომზე გამოითქვა აზრი, რომ ფარული კენჭისყრით აერჩიათ 17 წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი, მაგრამ ოპონენტები ამასაც გამოუჩნდნენ — რა საჭიროა კონსპირაცია, აქ არავინ არავის მტერი არ არის და ყველამ ყველაფერი უნდა იცოდესო. კენჭისყრამ ასეთი შედეგი დააფიქსირა — აღმასკომის შვიდმა წევრმა მხარი დაუჭირა მელიქიას, ხუთმა ჟორჟიკაშვილს, ოთხმა კი თავი შეიკავა.

კიდევ, მალე საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელები დოპინგ-კონტროლზე უნდა წარდგნენ.

საქართველოს 19-წლამდელთა მწვრთნელად კახა ცხადაძე დამტკიცეს. აღმასკომზე იმსჯელეს კლუბების ლიცენზირებაზეც. ითქვა, რომ ქუთაისის „ტორპედოს" ამ მხრივ სავალალო სიტუაცია აქვს და თუ ამას ვერ გამოასწორებს, ევროსაგზური რომც მოიპოვოს, ევროტურნირზე არ დაუშვებენ. ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასაც უთქვამს, არანაირ დათმობაზე არ წავალთო.

და ფედერაციის ბიუჯეტი, რომლის 60 პროცენტი ფიფა-უეფათი ივსება, 20 პროცენტი სპონსორებია, დარჩენილი 20 პროცენტი კი ადგილობრივი შემოსავლები. ეროვნული ნაკრების თითოეული მატჩიდან ფედერაციას 200 000 დოლარი უნდა შემოსვლოდა, მაგრამ თანხამ 40 000-ს ვერ გადააჭარბა. შარშან დასარიგებელი შეიქნა ნაკრების პრემიებიც და ბიუჯეტშიც დეფიციტი გაჩენილა. წლეულს კი, თუ ნაკრების ყველა თამაშზე პრემია იქნება გასაცემი და მატჩებიდან შემოსული თანხა 40 000-ზე მეტი არ იქნება, ფედერაციის წლიური დეფიციტი 600 000 ლარს შეადგენს. თუმც ფედერაციის ხელმძღვანელობას ეს არ აშინებს, მთავარია, ნაკრებმა წარმატებით ითამაშოსო — უთქვამთ ფედერაციის მესვეურებს აღმასკომის სხდომაზე.

აღმასკომზე ერთი საკითხიც განხილულა — 8 აპრილს ალექსანდრე ჩივაძეს 50 წელი შეუსრულდება და ამ თარიღის აღსანიშნავად საგანგებო კომისია შეიქმნება.

დავით თავართქილაძე

თბილისი შეტევაზე გადადის

ნათლია ჩივაძე და მისი კლანი



მამუკა გუგეშაშვილი

კობა ჟორჟიკაშვილი, ვისი კანდიდატურაც 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცად ფედერაციის აღმასკომმა არ დაამტკიცა და გუნდი ლევან მელიქიას გადაულოცა, ახლა საფეხბურთო სკოლა „ოლიმპში" მუშაობს, რომელიც საფეხბურთო კლუბ „თბილისის" სტრუქტურაში შედის. ფედერაციის აღმასკომის გუშინდელი გადაწყვეტილებით განსაკუთრებით უკმაყოფილონი აღმასკომის წევრი და „თბილისის" პრეზიდენტი ნიკა დოლიძე და „თბილისის" ერთ-ერთ დამფუძნებელ მამუკა გუგეშაშვილი იყვნენ.

ნიკა დოლიძე: აღმასკომმა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული გადაწყვეტილება მიიღო, რასაც ძალადობრივ აქტად ვაფასებ.

— ყველა მწვრთნელისთვის შეფასების საერთო კრიტერიუმები უნდა არსებობდეს. ფეხბურთელის კარიერა ჟორჟიკაშვილსაც ჰქონდა, ის საბჭოთა კავშირის მეორე ლიგის გუნდებში თამაშობდა, იყო საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრების წევრიც, მწვრთნელობა კი 1987 წელს დაიწყო. 1989-92 წლებში წვრთნიდა „მრეტებს" და გუნდი მეორე ლიგიდან პირველში, მერე უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა. 1996 წელს ჩაიბარა პირველლიგელი თბილისის „ლოკომოტივი" და უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა ის. 1999-2003 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს. 2001 წელს გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა და ნაკრებმა V-VIII ადგილები დაიკავა. როცა ყველაფერი ეს აღმასკომზე ვთქვი, ვლადიმერ გუცაევმა განაცხადა, ეს ჟორჟიკაშვილს კარგ შედეგად არ უნდა ჩაუთვალოთ, თუ ჟორჟიკაშვილი მაგარი მწვრთნელია, გუნდი ევროპის ჩემპიონი უნდა გამხდარიყო.

— ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჟორჟიკაშვილის ხელმძღვანელობით 17-წლამდელთა ნაკრებმა ჩაატარა 23 მატჩი, 14 მოიგო, 5 ფრედ დაამთავრა და 4 წააგო, ბურთების შეფარდებით 39-22. მაგრამ ერთია შედეგი, მეორე კი სელექცია და ის, თუ რამდენი ფეხბურთელი მოუმზადა მწვრთნელმა უფროსი ასაკის ნაკრებს. ჟორჟიკაშვილს არ გამორჩენია არც ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი, რომლებსაც 17-წლამდელთა ნაკრებში უნდა ეთამაშათ. ჟორჟიკაშვილის ხელში გაიარა ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელთა 50 პროცენტზე მეტმა — გოჩა ხოჯავა, ზაალ ელიავა, ლაშა და გიორგი ჭელიძეები, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, ანზორ კალაძე, გოგი ფიფია, სანდრო იაშვილი.

— და იცით, რა იყო მელიქიას მხარდამჭერთა არგუმენტი? ახლა მელიქიას უნდა მივცეთ შანსიო. მელიქიას მხარი დაუჭირეს ალექსანდრე ჩივაძემ, ვლადიმერ გუცაევმა, რომან შოთაძემ, სერგო კვარაცხელიამ, გოჩა როსტომაშვილმა, მურად ანჯაფარიძემ და ვლადიმერ ელოშვილმა.

— მე აღმასკომის წევრობის გარდა „თბილისის" წარმომადგენელი ვარ, მაგრამ ჟორჟიკაშვილს რომ მხარს ვუჭერ, მხოლოდ იმ კრიტერიუმებით, რითაც უნდა ფასდებოდეს მწვრთნელი. აღმასკომზე მე ისიც ვთქვი, თუ ამ კრიტერიუმებით ჟორჟიკაშვილზე უკეთეს კანდიდატურას დასახელებთ, მას ორივე ხელით მხარს დავუჭერთ-მეთქი.

მამუკა გუგეშაშვილი: ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ ულიცენზიო მწვრთნელს დაუჭირა მხარი, მელიქიას კანდიდატურა ჩივაძის კლანის მეშვეობით გავიდა. ჩივაძე მელიქიას ბავშვის ნათლიაა. ამ კლანიდან ერთ-ერთს ფედერაციის პრეზიდენტობა სურს და ამიტომაც ხელს აძლევთ ჩვენი ნაკრებების წარუმატებლობა.

— აღმასკომზე ითქვა, 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელზე აზრი ალენ ჟირესსაც ვკითხოთო, რაზეც გუცაევმა დასძინა, ჟირესი დღეს აქ კი არის, მაგრამ ხვალ სად იქნება, არავინ იცისო.

— ფედერაციას და მისი აღმასკომის წევრებს მსურს, ვკითხო, ვისაც დიდი ფეხბურთი არ გვითამაშია, ქართულ ფეხბურთში საქმიანობის უფლება არ გვაქვს? იმ ხალხს, ვინც მელიქიას მხარი დაუჭირა, ფეხბურთელის კარიერის შემდეგ ქართული ფეხბურთის განვითარებაში რა წვლილი მიუძღვის? რატომ არ ასწრებენ აღმასკომის სხდომაზე ჟურნალისტებს?

— მოვითხოვ, რომ განმეორებით ჩატარდეს აღმასკომის სხდომა, ან პირდაპირ სატელევიზიო ეთერში ნიკა დოლიძეს ჩივაძემ, გუცაევმა და რომან შოთაძემ გაუწიონ ოპონირება.

— თუ ამ მოთხოვნაზე ფედერაციის მხრიდან რეაგირება არ იქნება, „ოლიმპი" და „თბილისი" ფედერაციასთან ყველანაირ ურთიერთობას გაწყვეტენ.

დავით თავართქილაძე

ჟირესშნასავები

ალენ ჟირესი გუშინ ერთხელაც მიუჯდა საპრესკონფერენციო მაგიდას, რათა დღევანდელ მატჩზე ესაუბრა. საღამოს ხუთი საათისთვის კი საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ფეხბურთელებს საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე წაუძღვა. ჟურნალისტების და ჟირესის კითხვა-პასუხები კი ასეთი გახლდათ...

— მატჩამდე ერთი ვარჯიშიღა დაგვრჩა და მას ტექნიკურ-ტაქტიკური ჩანფიქრისთვის გამოვიყენებთ. სამწუხაროა, რომ სკონტროლი ზურაბ მენთეშაშვილი ტრავმის გამო გამოგვაკლდა — მისი თამაში გამორიცხულია. ლიტვის ნაკრების რამდენიმე მატჩის ვიდეოფირს ვუყურეთ და ერთხელაც გავარჩიეთ მეტოქის პლუს-მინუსები.

— ლიტვასთან მატჩის შედეგი რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის?

— რა რანგის მატჩიც უნდა იყოს, შედეგი ყოველთვის მნიშვნელოვანია, თუმც ლიტვასთან შეხვედრას სხვა მიზანიც აქვს — დავაკვირდე იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ჩემი მწვრთნელობისას პირველად ითამაშებენ საქართველოს ნაკრებში. ეს მატჩი კიდევ იმითაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რომ ის დინამიკა შევინარჩუნოთ, რაც მანამდე, გვქონდა — ყველა ფეხბურთელმა თავისი მაქსიმუმი უნდა გამოავლინოს.

— ხვალ შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეებიც ითამაშებენ — რომელიმე შეხვედრაზე თუ აგზავნით მზვერავს?

— საბერძნეთი—დანიას გაიოზ დარსაძე დაესწრება, ალბანეთი—უკრაინას კი არავინ — ჩვენ ხომ მარტში ბერძნებს ვხვდებით.

— ვინ უკაპიტნებს საქართველოს ნაკრებს ლიტვასთან?

— ამას ხვალ, თამაშის დღეს შეიტყობთ.

— სალიტვოდ გამოძახებული ფეხბურთელების მზადყოფნით კმაყოფილი ხართ?

— ძნელია, ვარჯიშებით ფეხბურთელის ფიზიკური ფორმა დაადგინო, ყველაფერს თამაში გვიჩვენებს, თუმც მოთამაშეების მზადყოფნა სრულყოფილი ვერ იქნება — მათი უმრავლესობის კლუბები ახლა მოსამზადებელ ეტაპზე არიან.

— გიორგი ქინქლაძე რომ გამოიძახეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მალხაზ ასათიანი გამთამაშებლად ვერ ითამაშებს?

— ორივე ფეხბურთელი შემქმნელია და კარგი იქნება, თუ მათი კომბინირება მოხდება, ცხადია, თუ ისინი ერთმანეთს კარგად შეეწყობიან. მოკლედ, გამორიცხული არ არის, ორივემ ითამაშოს და თანაც თავიანთ პოზიციებზე.

— იგივე ტაქტიკური სქემით ითამაშებთ, რაც ადრეულ მატჩებში აირჩიეთ?

— დიახ, ტაქტიკური სქემა არ შეიცვლება. ფეხბურთელების მოტივაციაც ისეთივეა, როგორიც წინა მატჩებში.

დავით თავართქილაძე

ინგლისი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები

გლეკპული 2:0 ოლდჰემი
ბრედფორდი 1:4 დონსი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩები

ბერი 0:0 შრიუსბერი
მენსფილდი 1:0 სუონსი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი (U-21)

II ჯგუფი

ალბანეთი 1:1 უკრაინა
საბერძნეთი 0:1 დანია

VI ჯგუფი

უელსი 0:4 გერმანია

VII ჯგუფი

ესპანეთი 14:0 სან მარინო

ამხანაგური მატჩები

კვიპროსი 1:1 (პენ.5:4) ავსტრია
ფინეთი 2:1 ლატვია
კოტ დივუარი 2:2 კონგოს დრ

ახალგაზრდულები (U-21)

მალტა 2:0 ნორვეგია
სლოვენია 6:1 პოლონეთი
ირლანდია 0:2 პორტუგალია
ჩრდ. ირლანდია 2:1 შოტლანდია
იტალია 2:1 რუსეთი
საფრანგეთი 1:1 შვედეთი
ინგლისი 1:2 ჰოლანდია
ბულგარეთი — სერბეთი *გადაიდო*
თურქეთი — ჩეხეთი *გადაიდო*

საფრანგეთი

მეორე ლიგა ზიზონი
გადადებული მატჩი

გრენობლი — კლერმონი *გადაიდო*

სიგარა, მზე და თბილისი

ალგიმანტას ლიუბინსკასი: საქართველო საქართველო იქნება

ალგიმანტას ლიუბინსკასი, ლიტვის ნაკრების მწვრთნელი, ადრე კი ვილნიუსის „ჟალგირისის" თავკაცი, ვისაც თავისი გუნდი თბილისში, „დინამოსთან" სათამაშოდ ბევრჯერ ჩამოუყვანია. სწორედ ლიუბინსკასის ლიტვა იყო ის გუნდი, რომელმაც ფიფა-უეფაში ახალგაწევრიანებულ საქართველოს პირველი მატჩი მოუგო. ლიუბინსკასია ის მწვრთნელი, ვინც ლიტვის ნაკრები ათი წლის წინ ისე დამოძღვრა, ევროპის 1996 წლის ჩემპიონატამდე ცოტა რომ დააკლდა. ახლა ეს მწვრთნელი ისევ თბილისშია, ქალაქში, სადაც, მისივე თქმით, მეგობრები ჰყავს და კარგი დრო უტარებია. მას სასტუმრო „ვარაზში" შევხვდით, საუბარზე სიამოვნებით დაგვთანხმდა, სიგარა მოფშვნიტა, გაუკიდა და დაიწყო...

— ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თბილისში ასეთი ყინვა თუ დამხვდებოდა, სითბოს, მზეს ველოდი, მაგრამ, ეტყობა, საქართველოში კლიმატიც შეიცვალა.

— ბოლოს თბილისში როდის იყავით?

— ზუსტად არ მახსოვს, 1988 თუ 89 წელს.

— თბილისიც შეცვლილი გეჩვენათ?

— რისი ნახვაც მოვასწარი, იმან დამარწმუნა, რომ თბილისი ახლა მართლაც სხვა ქალაქია.

— თქვენი აზრით, ქართული ფეხბურთიც ხომ არ შეიცვალა?

— თბილისში წამოსვლამდე საქართველოს ნაკრების დანიასთან და უკრაინასთან მატჩების ფირი ვნახე და სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი. უკრაინასთან საქართველო წაგებას არ იმსახურებდა, დანიასთან კი მოსაგები თამაში ჰქონდა. სამწუხაროა, რომ ამ ორ მატჩში საქართველომ მხოლოდ ერთი ქულა აიღო. პირველ ყოვლისა, ქართველების თამაშში ორგანიზებულობას აღვნიშნავ. საქართველოს ნაკრებს ამ მხრივ ყოველთვის ჰქონდა პრობლემები, შედეგი უფრო იმპროვიზაციისა და ინდივიდუალური ნიჭის წყალობა იყო. ახლა კი სათამაშო დისციპლინაც გამოჩნდა და ვფიქრობ, საქართველოს ნაკრები თავის სიტყვას მალე იტყვის. თქვენი ნაკრების მატჩების ფირი რომ ვნახე, დავრწმუნდი, ბოსნიასთან შესარჩევ მატჩამდე სპარინგ-მეტოქის შერჩევაში არ შევმცდარვარ. ქართველებთან ამხანაგური მატჩის გარდა გერმანიასთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან გაჯიბრების ვარიანტებიც გვქონდა, მაგრამ სწორედ საქართველო ავირჩიე. ამ ეტაპზე სწორედ ასეთი მეტოქე გვჭირდებოდა.

— ამხანაგური მატჩის სათამაშოდ კი ჩამოხვედით, მაგრამ ალბათ ქართველებთან რევანშზეც ფიქრობთ — 2000 წელს ხომ კაუნასში საქართველომ 4:0 მოიგო.

— მაშინ ლიტვის მწვრთნელი სტანკუსი იყო. თუმც ამას რა მნიშვნელობა აქვს, წააგო გუნდმა და ბუნებრივია, რევანში სურს. ისე კი, საქართველოს ნაკრებს პირადად ჩემთან აქვს სარევანშოდ საქმე — 1992 წელს, როცა ლიტვამ 1:0 მოიგო, ნაკრების მწვრთნელი მე ვიყავი. ორივე გუნდი ახალშექმნილი იყო და სანახაობრივად კარგი თამაში არ გამოვიდა. თუ არ ვცდები, საქართველოს ნაკრებს გოგა ნორაკიძე თავკაცობდა, გოლი კი ბოლო წუთზე გავიტანეთ.

— თქვით, მეტოქის არჩევაში არ შევმცდარვარო. იცით, რომ ლიტვის წინააღმდეგ საქართველოს ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით არ ითამაშებს?

— რა თქმა უნდა, ჩვენთვის სჯობდა, ალენ ჟირესს უძლიერესი შემადგენლობა გამოეძახა, მაგრამ რას იზამ, მწვრთნელმა თავისი საქმე იცის. ეტყობა, ჟირესი სხვა ფეხბურთელების შესაძლებლობებში კარგად ერკვევა და მათი ერთხელაც შემოწმება საჭიროდ აღარ ჩათვალა. ჩემმა ნაკრებმა აქამდე თითქმის ყველა ამხანაგური მატჩი წააგო და ეს იმიტომ, რომ უამრავი ფეხბურთელი გამოვცადე.

— გსურთ თქვათ, რომ ოთხშაბათს საქართველოს ნაკრებიც წააგებს?

— რა გითხრათ, ჩვენთვის მთავარი ბოსნიასთან მატჩისთვის კარგად მომზადებაა. იმედია, ჟირესი საქართველოს ნაკრებს იგივე დავალებას მისცემს, რასაც ოფიციალური მატჩების წინ.

— თბილისში უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვედით?

— უძლიერესი შემადგენლობით კი ჩამოვედით, მაგრამ ძირითადში ყველა საუკეთესო იქნება თუ არა, ვერ გეტყვით. საქმე ისაა, რომ ედგარას იანკაუსკასს და ედგარას ჩესნაუსკისს ტრავმები აწუხებთ. თუნდაც ის ფაქტი, რომ დაშავებული ფეხბურთელებიც გამოვიძახე საქართველოსთან მატჩისთვის, ჩვენს მობილიზებაზე მეტყველებს. ოთხშაბათის თამაში ლიტვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— შესარჩევ ჯგუფში ლიტვას წარმატების რა შანსები აქვს?

— ჯერჯერობით მეორე ადგილზე ვართ, თამაში არ წაგვიგია და ვნახოთ, რა გამოგვივა. რეალურად კი სან-მარინოს გარდა ყველა მეტოქე ცალკეული ფეხბურთელებით ლიტვაზე ძლიერია — ესპანეთი, სერბეთი, ბოსნიაც და ბელგიაც.

— ოთხი თამაშიდან რვა ქულის მიუხედავად, გამოდის, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა გეეჭვებათ...

— ლიტვასაც აქვს თავისი პლუსები და ეს პირველ ყოვლისა, ჩვენი გუნდური თამაშია. ფეხბურთის სახელები აღარ თამაშობენ, მთავარი გუნდია. მეც ვცდილობ, რომ ლიტვა გუნდი იყოს და არა ორი-სამი ფეხბურთელი. მსურს, გუნდში მყავდეს 11 მებრძოლი, ისეთები, რომლებიც 90 წუთი თავდაუზოგავად ითამაშებენ.

— ისე, ლიტვაში რას ამბობენ, ევროპის ჩემპიონატზე ლატვიამ რომ ითამაშა?

— მაპატიეთ, ვერ გავიგე, რომელმა ქვეყანამ ითამაშა?

— ლატვიამ, ლიტვის მეზობელმა.

— ევროპის რომელ ჩემპიონატზე ლაპარაკობთ?

— პორტუგალიის...

— და იქ ლატვია თამაშობდა? მგონი, რაღაც გეშლებათ.

— ვითომ?

— ვხუმრობ, რა თქმა უნდა, ლატვია მართლაც იყო პორტუგალიაში, ოღონდ ლატვიელებს იქ არ უთამაშიათ — მათ ნაკრებში 17 ფეხბურთელი რუსია. ლიტვაში კი კაცს ვერ ნახავთ, თქვას, ლატვია ლიტვაზე ძლიერიაო. ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე მოხვედრის დიდი შანსი ლიტვასაც ჰქონდა. მაშინაც მწვრთნელი გახლდათ და სტუმრად უკრაინა და სლოვენია რომ დავამარცხეთ, ორი ტური ჯგუფის ლიდერები ვიყავით, თავი უკვე ინგლისში გვეგონა, მაგრამ მერე ნაკრებიდან დამითხოვეს და... ფედერაციის იმჟამინდელ პრეზიდენტს გარკვეულ საკითხებში არ ვეთანხმებოდი და მანაც გუნდს ჩამომაშორა.

— და ერთიც, ლიტვური ფეხბურთის ყველაზე დიდი პრობლემა რა არის?

— უფულობა.

— პერსპექტივა?

— მდიდრები თუ ფულს ფეხბურთს მოახმარენ, ყველაფერი კარგად იქნება.

— ივანაუსკასი, ნარბეკოვასი, ბარანაუსკასი... ლიტვაში მათი დონის ფეხბურთელები აღარ იზრდებიან?

— ძალიან ძნელია თაობათა შედარება. მაშინ სხვა დრო იყო — სისწრაფე, ორგანიზებულობა, ტაქტიკა — ახლა სხვაა. მესხი, მეტრეველი, ასათიანი, ყიფიანი — ყველანი სხვადასხვა თაობის ფეხბურთელები იყვნენ, შეადარებთ მათ ერთმანეთს? ვერ შეადარებთ. ასევე ვერ ვიტყვი, მაგალითად, ივანაუსკასის დარი ფეხბურთელი ლიტვაში იზრდება თუ არა...

კობა ინასარიძე

ახალგაზრდული ნაკრები კარცერია?

ტყებუჩავა ისევ აკოწიწებს



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების დაკომპლექტება გოჩა ტყებუჩავას მუდმივ სატკივრად რომ იქცა, არახალი ამბავია. წარმოიდგინეთ, დღეს ლიტვასთან თამაშია, მწვრთნელს კი გუშინ მხოლოდ 15 შეგირდი ჰყავდა ადგილზე — მოკლედ, ტყებუჩავას სათადარიგო სკამის შევსებაც კი პრობლემად ექცა.

ბალტიისპირელებთან ამხანაგური მატჩის წინ ტყებუჩავამ პრესკონფერენცია გამართა და ნაღვლიანი ტონით ილაპარაკა — რა ვქნა, სრულფასოვანი გუნდის შეკრება ჩემს ძალებს აღემატებაო. მიზეზები, იცოცხლეთ...

„6 თებერვალს შევიკრიბეთ თბილისში, თუმც ამას შეკრება არც ერქვა. დავით იმედაშვილი და ირაკლი ებანოიძე „ვიტ ჯორჯიამ" ანთალიაში წაიყვანა და ჩვენთან არ გამოუშვა. გიორგი ციმაკურიძეც არ გამოუშვეს უკრაინული „სტალიდან", აქაოდა, მიწვევა არ მოსვლიაო. არადა, ჩემი თვალით ვნახე, რომ ციმაკურიძეს მოწვევა გაეგზავნა. გოგიტა გოგუა ეროვნულ ნაკრებში აიყვანეს, შოთა კაშია და გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე კი თბილისის „დინამოს" სჭირდებოდნენ და კლუბის თხოვნას გაგებით მოვეკიდეთ. ზაალ ელიავა „სკონტოში" გადადის, დღეს-ხვალ რიგაში მიფრინავს და ამიტომაც ხელი არ შევუშალეთ. მოკლედ, 14 ფეხბურთელი შეგვრჩა და სასწრაფოდ დინამოელი დავით გიგაური დავიმატეთ, თუმც 18 კაცი აუცილებელია და სამ ფეხბურთელს დღეს გამოვიძახებ" — ეს სამიც გაირკვა: ბედად, „ზესტაფონი" ანთალიური შეკრებიდან დაბრუნდა და გოჩა ტყებუჩავამაც მიხეილ ბესარაშვილით, გიორგი განუგრავათი და ბექა გოცირიძით შეავსო სია.

ბუნებრივია, ფეხბურთელის ნაკრებში არგამოშვებისთვის მკაცრი სანქციებიც არსებობს. სფფ-ის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას ტყებუჩავასთვის უთქვამს, თუ გნებავთ, კლუბების დასასჯელად ზომებს მივიღებთო, თუმც მწვრთნელს თავი შეუკავებია. არადა, ტყებუჩავა მომხდარში ფეხბურთელებს არ ადანაშაულებს, კლუბებიდან მოდის ყველაფერიო.

სხვათა შორის, ტყებუჩავამ გუშინ თქვა, თუ ეროვნული სტადიონის გაზონი საშინელ მდგომარეობაში იქნება, შესაძლოა, ლიტვას „ოლიმპის" ხელოვნურსაფარიან მინდორზე ვითამაშოთო. თუმც გუშინ საღამოს მაინც ეროვნული სტადიონის ვარიანტი გადაწყდა. შეგახსენებთ, მატჩი 15 საათზე დაიწყება.

ეს დღეებია, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები „ოლიმპის" ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ხელოვნურსაფარიან მინდორზე ვარჯიშობს და ტყებუჩავა ამაში პრობლემას ვერ ხედავს — „ტულუზში" სტაჟირებაზე რომ ვიყავი, იქაური კლუბები, მათ შორის „ტულუზის" ძირითადი გუნდიც, ხელოვნურ საფარზე ვარჯიშობდნენო.

ბუნებრივია, ქართველი ახალგაზრდების დამრიგებელი ლიტველებთან შეხვედრას არა მარტო შედეგის თვალსაზრისით, არამედ ოფიციალური მატჩებისთვის სამზადისადაც განიხილავს და ახალწვეულების თამაშს მოუთმენლად ელის:

„ვალერი კაციტაძე და დავით ჭილაძე ლიტვურ კლუბებში ძირითადის მოთამაშეები არიან. ძალიან მაინტერესებს მათი ლეგიონერობაც კარგია, ასეთი ფეხბურთელი რომ გამოჩნდა მოსკოვის „ლოკომოტივში". დანარჩენი კი ჩვენზე, მწვრთნელებზეცაა დამოკიდებული. ტულუზურ სტაჟირებაზე ბევრი რამ ვისწავლე და მიღებული ცოდნა აუცილებლად გამომადგება. მოხარული ვარ, რომ ზაურ სვანაძე ჩემი თანაშემწე გახდა. კარგი მწვრთნელია და ვფიქრობ, ჩვენი შეთანხმებული მუშაობა შედეგს გამოიღებს" — ამბობს ტყებუჩავა და ლიტველ ახალგაზრდებსაც აქებს. ამ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ოთხი თამაშიდან შვიდი ქულა აქვს, რაც თავისთავად მიუთითებს მათ სიძლიერეზე.

კეთილი, მაგრამ ძლიერ მეტოქეს მყდგარი დახვედრაც სჭირდება. გოჩა ტყებუჩავას კი, სამწუხაროდ, მატჩამდე საათების დარჩენამდე უხდება შემადგენლობის შეკოწიწება...

ილია ნანობაშვილი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

სტილიზებული დანია თუ ნამუშტრალი საბერძნეთი?

იონ დალ ტომასონი ბევრ ისეთ ნაკრებს ვერ ხედავს, თბილისში ქულები ააგროვოს



ბაბაკი ჯალილოვის ფოტო

დანიელთა მთავარმეგოლე იონ დალ ტომასონმა თბილისშიც გაიტანა

მართალია, პირველ ოთხ შესარჩევ შეხვედრაში დანიის ნაკრებს კატასტროფული არაფერი დამართნია, მაგრამ თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა სურს, აუცილებლად უნდა შეივსოს ქულებით. საამისოდ დანიელებს ყველაზე მეტად, ალბათ, „მილანის“ ფორვარდის, იონ დალ ტომასონის ეიმედებათ. ტომასონმა ხსენებულ ოთხ მატჩში ოთხი გოლი შეაგდო (სულ გუნდმა ექვსი გაიტანა) და საბერძნეთთან თამაშის წინ ისეა ანთებული, როგორც არასდროს. სწორედ ამაზე ისაუბრა კიდეც ფიფას საინტერნეტო ვებ-გვერდის კორესპონდენტთან

— როგორ მოემზადეთ ბერძნებთან სათამაშოდ?

— ჩვენც და ბერძნებსაც ფეხქვეშ ნიადაგი გვაქვს შეთხელებული და მისი გამყარება გვჭირდება. შესარჩევი ციკლი ორივემ ცუდად დავიწყეთ, საუბედუროდ, ამ მატჩის წინ რამდენიმე ფეხბურთელი მოგვაკლდა და ეს ამოცანას კიდევ უფრო გვირთულებს.

— ალბათ, ვერც წარმოიდგენდით, რომ პირველი ოთხი შესარჩევი შეხვედრიდან მხოლოდ ერთს მოიგებდით, ხოლო სამი ფრედ დასრულდებოდა...

— გულწრფელად გიპასუხებთ: ამას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, მაგრამ იმის თქმაც, რომ დაკარგულმა ქულებმა უკვე რამე გადაწყვიტა, ნაადრევია. სამი შეხვედრიდან, რომლებიც ფრედ ვითამაშეთ, სამივეს მოგება შეგვეძლო, საამისოდ მრავალი შესაძლებლობა გვქონდა, თუმცა უიღბლობისა და დამაგვირგვინებელ ფაზაში უზუსტობის გამო შანსები ვერ გამოვიყენეთ. აქვე დავძენ, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულებიდან მოყოლებული, ტრავმები არ დაგვკლებია. ამჯერად მხოლოდ ერთი თამაში გვაქვს ჩასატარებელი და იმედი მაქვს, რომ მისი დამთავრების შემდეგ ჯგუფიდან გასვლის გამოკვეთილ ფავორიტთაგანი ვიქნებით.

— გასულ ზაფხულს პორტუგალიაში დანია გამართულად მოთამაშე გუნდზე მეტი ჩანდა. იმ ფორმის აღდგენა ძნელია?

— არ მინდა, ისევ ტრავმები ვახსენო და ჩემმა პასუხებმა თავის მართლების სახე მიიღოს, მაგრამ თუ საბერძნეთთან შეხვედრას ნახავთ, აღმოაჩენთ, რომ საუკეთესო შემადგენლობის ექვსი მოთამაშე გვაკლია. მიმდინარე შესარჩევი ციკლის პირველივე მატჩიდან დაახლოებით ასეთ დღეში ვართ, ერთი და იგივე მეორდება და მეორდება.

— გთხოვთ, ებე სანდის ნაკრებიდან წასვლასა და ლაურსენის ტრავმაზე საგანგებოდ შეჩერდეთ...

— ეს ორი ფეხბურთელი დანიის ნაკრებში წლობით გადამწყვეტ როლს რომ თამაშობდა, რად უნდა ლაპარაკი. ჩვენზე მათი არყოფნა ძალიან მოქმედებს. მათი გამოცდილება არა მხოლოდ უშუალოდ თამაშისას, ვარჯიშებზეც დიდ სამსახურს გვიწევდა. ებემ სანაკრებო ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა და აქ ვერაფერს გავაწყობთ, მარტინს კი მალე გამოჯანმრთელებას და გუნდში ძველებურად თამაშს ვუსურვებ.

— ოთხი შესარჩევი მატჩიდან სამში დანიამ ანგარიში გახსნა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. რით შეიძლება ამის ახსნა?

— პირველ თამაშში, უკრაინასთან, ისე ვიქცეოდით, რომ თავად გამიკვირდა. უჩვეულოდ ვნერვიულობდით და ანგარიშის გახსნის შემდეგ დაცვაში ჩავიკეტეთ, ვეჭვობ, ეს მეთოდი მოვლენათა კონტროლისთვის საუკეთესო იყოს...

შემდეგ, თურქეთთან, ალბათ გახსოვთ, ანგარიშის გახსნიდან რამდენიმე წუთში იესპერ გრონკიაერს წითელი ბარათი აჩვენეს და, როდესაც მთელი საათი უმცირესობაში რჩები, თურქეთისნაირი გუნდის შეჩერება ძნელია.

რაც შეეხება საქართველოს, მიმაჩნია, რომ ამ გუნდთან 2:2 კარგი შედეგია და საერთოდაც, ბევრ ისეთ ნაკრებს ვერ ვხედავ, თბილისში ქულები რომ ააგროვოს.

— ებე სანდის წასვლის შემდეგ დანიის ნაკრებში თქვენი როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამაზე რას გვეტყვით?

— თომას ჰელვეგის შემდეგ მეორე კაპიტანი ვარ. მართალია ისიც, რომ ამჟამად გუნდში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოთამაშე გახლავართ, რის გამოც დანარჩენები ანგარიშს მიწევენ. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, მსიამოვნებს, მაგრამ საკუთარ თავზე აღმატებით ფიქრიც არ მინდა და ამას გავურბივარ.

— საბერძნეთის დღევანდელი ნაკრების შესახებ რა აზრის ხართ?

— ბოლო თვეების პრობლემების მიუხედავად, საბერძნეთი ევროპის ჩემპიონია. დღეს ბერძნებს ჰაერივით სჭირდებათ ქულები და, ბუნებრივია, ჩვენთან მხოლოდ და მხოლოდ მოსაგებად იბრძოლებენ. მართალია, ეს ნაკრები ლამაზ ფეხბურთს არ თამაშობს, მაგრამ ძალიან ძლიერები არიან. ჩემი შეხედულებით, ჩვენ უფრო სტილიზებულ ფეხბურთს ვთამაშობთ, მათი უპირატესობა კი მუშტრაა.

— რაზე იქნება თამაში დამოკიდებული?

— თუ ამ მატჩში რამე გვინდა, ძველებურად შეტევა უნდა გავიხსენოთ. მიუხედავად ექვსი საუკეთესო ფეხბურთელის არყოლისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა გუნდურ სულისკვეთებას ექნება.

— და ბოლოს, როგორ ფიქრობთ, როდის გაირკვევა მეორე ჯგუფიდან გამსვლელთა ამბავი?

— ახლა უკრაინელები ხუთი ქულით გვისწრებენ ჩვენ, თურქთსა და ალბანეთს, ბერძნებს და ქართველების კი ექვსით, მაგრამ თურქების გარდა ყველაზე ერთი თამაშით მეტი აქვთ ჩატარებული. ვფიქრობ, დღეს ისინი ფავორიტებად უნდა მოვიხსენიოთ და მათ გარდა ვახსენოთ თურქეთი და საბერძნეთი.

თავად მე ეჭვი არ მეპარება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე დანია მოხვდება, თუმცა ეს იოლი ნამდვილად არ იქნება და ესეც ვიცი. ყველაფერი რამდენიმე თამაშში უნდა გამოიკვეთოს.

საბერძნეთი VS დანია



ოტო რეჰაგელი



მორტენ ოლსენი

სენსაციების გადაკვეთა

დღეს მეორე შესარჩევი ჯგუფის ერთ-ერთ საკვანძო მატჩში ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე სენსაციური ტრიუმფატორები იჭიდავებენ — მოქმედი ევროჩემპიონი საბერძნეთი ათენში მორტენ ოლსენის დანიას უმასპინძლებს და მიმდინარე შესარჩევში გამრუდებული საქმის გამოსწორებას შეეცდება.

შეგახსენებთ, ოტო რეჰაგელის გუნდს, საქართველოს დარად, ოთხი თამაშიდან ხუთი ქულა აქვს, დანიას კი ამდენივე თამაშიდან ექვსი მოუგროვებია. ორივენი გვარიანად ჩამორჩნენ აწყვეტილ უკრაინას და, ცხადია, ფრე არც ერთს არ აძლევს ხელს.

ბერძენთა ხოტორა ნახევარმცველი სტელიოს იანაკოპულოსიც ასე თვლის — უეჭველი მოგება გვჭირდება, რათა გერმანიისკენ გზა გავიკვალოთო. ოტო რეჰაგელს დანიელებთან მატჩში არ ეყოლება ტრავმირებული გამთამაშებელი ვასილის ცარტასი, მცველი მიხალის კაპსისი და ფორვარდი დიმიტრიოს პაპადოპულოსი. არც ბოლონიელი თეო ზაგორაკისი და პანათინაიკოსელი ანგელოს ბასინასი არიან მთლად ჯანზე, თუმც ისინი დღეს მაინც ითამაშებენ. დანაკლისის მიუხედავად, „მეფე ოტო“ 4-4-2 სქემის შეცვლას არ აპირებს: კოსტას კაცურანისს კაპსისის ადგილს მიუჩენს დაცვაში, თავდასხმაში კი ხარისტიას-ვრიზასის წყვილს გაამწესებს.

დანიელები კი საამმატჩოდ დისკვალიფიცირებულ იესპერ გრონკიაერის გარდა, ტრავმირებულ ნახევარმცველებს — თომას რასმუსენსა და კლაუს იენსენს, ასევე ვეტერან მცველ თომას ჰელვეგს მოისაკლისებენ. აქვე გეტყვით, რომ სკანდინავიელებს მიჯრით 21 გასვლითი მატჩი არ წაუგიათ.

სავარაუდო შემადგენლობები:

საბერძნეთი: *ნიკოპოლიდისი — სეიტარიდისი, დელასი, კაცურანისი, ფისასი — ბასინასი, ზაგორაკისი, იანაკოპულოსი, კარაგუნისი — ხარისტიასი, ვრიზასი*

დანია: *სორენსენი — ნ. იენსენი, პრისკე, კროლდრუპი, ლუსტუ — გრავესენი, პოულსენი, დ. იენსენი — იორგენსენი, რომედალი, ტომასონი*

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა

ილია ნანობაშვილი

ალბანეთმა უკრაინა შვიდას ათასად შეაფასა

ალბანეთი VS უკრაინა

სამი დღის წინ მთელი ალბანეთი ხარობდა, ანდრეი შევჩენკო უკრაინის ნაკრებს ვერ ჩამოჰყვება და, მოგვიგია და ეგ არისო. შკიპერიელთა საუბედუროდ, „შევამ“ მალე მოირჩინა ტრავმა და კვირას ალბანელებს, „მილანი“ — „ლაციოს“ ყურებისას, ალბათ ტანშიც გვარიანად გააჟრიალებდათ.

შევჩენკო „არწივებთან“ აუცილებლად ითამაშებს, მაგრამ ოლეგ ბლოხინს ახლა მეორე ფორვარდი, ლევერკუზენელი ანდრეი ვორონინი დაემტვრა. ვორონინი „ბაიერნთან“ ბუნდესლიგურ მატჩში დაშავდა და მისი ალბანეთში ჩასვლა საეჭვოა.

ჰანს-პეტერ ბრიგელის გუნდი 9 თებერვლის მატჩს კბილებალესილი ელის. მოგების შემთხვევაში ალბანეთის ნაკრების ფეხბურთელები 700 ათას ევროს ჩაიჯიბავენ, ფრისთვის კი — 500 ათასს.

თურქეთი თოვლმა ჩაშალა

თურქეთი

ჩვენს მეტოქე თურქეთს ტუნისთან დაგეგმილი ამხანაგური მატჩი დიდთოვლობამ ჩაუშალა. გუშინ სტამბოლი გადათეთრებული იყო. სასტუმრო „პოლატში“ შეკრებილი მასპინძლები სავარჯიშოდაც ვერ გავიდნენ. ნაკრების მენეჯერმა ჯან ჩობანოღლუმ ამის თაობაზე უეფელებს აცნობა და მათგან ასეთი პასუხი მიიღო — ეგ საქმე თქვენ თვითონ გადაწყვიტეთო. ათათურქის სახელობის ოლიმპიური სტადიონი თოვლქვეშ აღარ ჩანდა და ჩობანოღლუმაც თავი აღარ აიტკივა — შეხვედრა გადაიდო. როდის გაიმართება მატჩი, უცნობია. ოსმალოთა მწვრთნელ ერსუნ იანალის თქმით კი, ტუნისთან თამაში შესარჩევი მატჩებისთვის მოსამზადებლად ბოლო რეპეტიცია უნდა ყოფილიყო.

როგან თურქია

რად გვინდა ახალი, როცა ძველიც საუცხოოა

მანჩესტერი გლეიზერს ისევ აუმხედრდა





ცნობილი უელსელი რაიან გიგზი ჟურნალისტებს შეხვდა და ამერიკელი მილიარდერი მალკოლმ გლეიზერი გააკრიტიკა. ორიოდე დღით ადრე ასევე მოიქცა კლუბის ლეგენდა ერიკ კანტონა, მერე კი რიო ფერდინანდი.

შეგახსენებთ, რომ გლეიზერი ის კაცია, ვისაც შარშან „მანჩესტერ იუნაიტედის" ყიდვა უნდოდა და რახან არ გამოუვიდა, აქციათა შესყიდვას მიჰყო ხელი, რითაც 28,1 პროცენტი დაუგროვდა და სულ ცოტაღა აკლდა, რომ საკონტროლო პაკეტი მოეგდო ხელთ. როგორც ჩანს, ამერიკელმა ეს ვერ მოახერხა და გუშინ, უკვე მესამედ მიმართა კლუბს მთლიანი შესყიდვის თაობაზე. „მანჩესტერში" კი გითხარით, ყველა წინააღმდეგია გლეიზერის მეპატრონეობისა, ფანებიც და გუნდიც.

„ახლა კლუბი საიმედო ხელშია — თქვა გიგზმა — ამაზე უკეთეს მდგომარეობაში ყოფნა ძნელი წარმოსადგენია. ჩვენ მხარს ვუჭერთ გულშემატკივრებს და რაიმეს შეცვლა არ გვინდა. რად გვინდა ახალი, როცა ძველიც საუცხოოა?"

წინა დღით რიო ფერდინანდსაც უთქვამს: „ამ კაცის მოტივები ჩემთვის ბუნდოვანია. მისი ცქერა ახალ ამბებში უკვე მოსაწყენია".

„მანჩესტერმა" საგანგებო განცხადებაც კი გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ ჭორაობა საჭირო არ არის და რომ კლუბმა მართლაც მიიღო გლეიზერის მორიგი შეთავაზება.

ამერიკელის წინა ორი შეთავაზება „მანჩესტერის" მმართველმა საბჭომ უარყო, რახან ამერიკელს ძირითადად კრედიტებით სურდა კლუბის შესყიდვა. ამ შეთავაზებებმა ფანებიც აღაშფოთეს. როგორც ამბობენ, ახლა მალკოლმ გლეიზერს წინადადება უკეთესად ჩამოუყალიბებია.

აი, ჯერჯერობით ასეა საქმე, რომელსაც გაგრძელება აუცილებლად მოჰყვება. ბოლოს კი იმას გეტყვით, რომ „მანჩესტერის" მიავარ მეწილეებად 28,9 პროცენტით ყველაზე რჩებიან ირლანდიელი მილიარდერები, ჯოს მანიე და ჯეიმი მაკმანუსი, რომლებმაც გლეზერთან მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მაშინ შეწყვიტეს, როცა ფანების უკმაყოფილება დაატყვეს.

ირაკლი გამყრელიძე

რომანი კოლოსკოვთან

პრეზიდენტად აბრამოვიჩი?

რომან აბრამოვიჩი შესაძლოა, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტობის ოფიციალურ კანდიდატად დაასახელონ, არჩევნები კი ორ აპრილსაა დანიშნული. „ჩელსის" პატრონის წარდგენას სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა აპირებს, ხოლო რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერი სერგეი მირონოვი წინააღმდეგია



რომან აბრამოვიჩი

„ჩვენი ფეხბურთის თავკაცობის უფლება მხოლოდ პატრიოტ კაცს აქვს. აბრამოვიჩმა იყიდა კლუბი, რომელიც ევროთასებზე აქაური გუნდების ჰოტენციური მეტოქეა, ამიტომ მის საქციელს პატრიოტულს ვერ ეუწოდებ".

საბჭოთა კავშირის ნაკრების, მოსკოვის „ტორპედოსა" და „სპარტაკის" ყოფილმა მეკარე ანზორ კავაზაშვილმა თავისი კანდიდატურა უკვე ოფიციალურად წარადგინა. „დღეისთვის მხოლოდ კავაზაშვილის განცხადება გვაქვს" — თქვა საფეხბურთო კავშირის პრესმდივანმა. „პრეზიდენტობის კიდევ ერთი მსურველია ვლადიმირ პუტინის მეგობარი ვიტალი მუტკო, თუმც რომან აბრამოვიჩს (თუ კენჭს იყრის) გამარჯვების არცთუ ურიგო შანსი ექნება" — ასეთია „ნოვაია იზვესტიას" ჟურნალისტის აზრი.

სამოყვარულ ფეხბურთის ლიგის დირექტორი ვლადიმირ ალეკსინი აცხადებს, რომ რომან აბრამოვიჩის ფინანსებით სამოცამდე სპორტულ სკოლაში ხელოვნურსაფარიანი საფებურთო მოედნები აშენდება.

„ჩელსის" პატრონი დღეს კალიარიში ჩაფრინდება და იტალია — რუსეთის მატჩს დაესწრება. რუსული მედიის ცნობით, იქ ივი ვიაჩესლავ კოლოსკოვს შეხვდება და პასუხსაც ალბათ მასთან საუბრის შემდეგ იტყვის. გამორიცხული არაა, რომან აბრამოვიჩს კავშირის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი შესთავაზონ და ამ შემთხვევაში „ჩელსისთვისაც" საკმაო დრო დარჩება.

ვაჟა ხუციშვილი



ედგარ დავიდსი და შშვენიერი აფეფ ჟნიფენი ერთად ნახეს

რა სარგებლობა მოაქვს ღამის კლუბს

დავიდსი პატრონის ცოლს ფეხბურთს ვერ ეთამაშება

გასულ კვირას მილანის ერთ-ერთ ღამის კლუბში „ინტერის" ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი ილხენდა — ტურიდან ტურამდე ფეხბურთელსაც ხომ უნდა დასვენებაო.

მოკლედ, დავიდსი და ღამის კლუბები ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მოხეტიალე იტალიელ ჟურნალისტის უფრო სხვა რამ გაუკვირდა — ჰოლანდიელი ვაჟკაცი მომხიბვლელ აფეფ ჟნიფენს თავს ევლებოდა — გადაიღე, არ გაცივდეს, რას მიირთმევ? რას დალევ? და მისთანები... და ლამაზმანიც თვალებს ნება-ნება აფახულებდა, ღიმილიან მზერას არ აშორებდა კავალერს.

ერთი სიტყვით, აფეფ ჟნიფენი ტუნისელი მოდელია, რომელიც 2001 წლიდან მარკო ტრონკეტის ცოლია, ხოლო ტრონკეტი კი „ინტერის" აქციათა პაკეტის ნახევარს არა, მაგრამ საკმაოდ მოზრდილ ნაწილს კი ფლობს. ივი საბურავების მწარმოებელი ფირმა „პირელის" ერთ-ერთი მეპატრონეა და იცით, „ინტერს" მაისურაზე სწორედ ამ ფირმის სახელი რომ აწერია.

რა გაგრძელება მოჰყვა ამ ამბავს, უცნობია. ისე კი, ჩვენის ვარაუდით, დავიდს-ჟნიფენის შეხვედრა იმ საღამოს ალბათ, ფრედაც დასრულდა. ვინ იცის...

ვაჟა ხუციშვილი

ამხანაგური მატჩები

ინგლისი – ჰოლანდია

რობინსონი, გ. ნევილი, კარაგერი, ბრაუნი, ე. კოული, ბგქემი, ლამპარდი, ჯერარდი, რაიტ-ფილიპსი, ოუენი, რუნი	ვან დერ სარი, კრომკამპი, ბულარუზი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, ლანძაატი, ვან დერ ვაარტი, კასტელენი, მაკაი, კუიტი

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

შავი ჭიჭა ერიკსონი ლაზარეთში არ დარჩა

ჰოლანდიასთან ამხანაგური მატჩის წინ ინგლისელთა შვედ მენეჯერ სვენ-გორან ერიკსონს პრობლემები ემატება დ ემატება. რაღაც საოცარი უიღბლობით, ყველა მცველი, რომლებიც ერიკსონს სანაკრებოდ აღრევე ჰყავდა შეთვალიერებული, „ვილა პარკის“ ნაცვლად ლაზარეთში აღმოჩნდა.

ბოლო უკანახაზელი, რომელიც ნაკრებს გამოაკლდა ტოტენ.ჰემელი ლედლი კინგია. იქამდე კი ერიკსონმა ჯონ ტერი, უეინ ბრიჯი, რიო ფერდინანდი, სოლ კემპბელი და მეთიუ ჰაპსონი დაკარგა.

რა გამოდის? შვედს ფეხბურთელები ასარჩევად ფაქტობრივად, აღარც ჰყავს და იმაოი სამსახურით უნდა დაკმაყოფილდეს, ტრავმებს რომ გადაურჩნენ. ასეთები კი ოლსენი ბრაუნი და ჯერარდი კარაგერი.

მანჩესტერელი უესლი ბრაუნი ნაკრებში ბოლოს, 2003 წლის თებერვალში გამოიძახეს, როცა „ანტონ პარკზე“ ინგლისი ავსტრალიასთან დამარცხდა. მას მერე ბრაუნი აღარავის გახსენებია და რომ არა ზემოხსენებული ტრავმიანობა, არც ახლა გამოიძახებდნენ. ისე კი, ბრაუნს აქამდე ექვსი სანაკრებო კეპი აქვს მოგროვებული.

შესაძლოა, ჰოლანდიის წინააღმდეგ კიდევ ერთმა მანჩესტერელმა, ფილ ნევილმაც ითამაშოს, მაგრამ დაზუსტებით ამის თქმა, ახლა ძნელია.

თუმც არც ისეა, რომ ინგლისის ნაკრებში კარგი არაფერი ხდებოდეს. მაგალითად, დეივიდ ბექემი, რომელმაც პრიმერადივიზიონის წინა ტურში „ესპანიოლთან“ მატჩისას მხარი იტკინა, მომჯობინდა და კაპიტნობას შეძლებს.

ერიკსონს არც თავდასხმაში აქვს საქმე ცუდად. ამ რგოლში მაიკლ ოუენი და უეინ რუნი შეუწყვილდებიან ერთმანეთს. ამათ კი უკნიდან, ბექემის გარდა, სტივენ ჯერარდი, შონ რაიტ-ფილიპსი და ფრენკ ლამპარდი გაუწევენ პარტნიორობას.

თავისი მეოთხე სანაკრებო კეპისთვის ემზადება უკვე ნახსენები სიტელი გარემარბი რაიტ-ფილიპსი. მან ერიკსონს „არსენალის“ წინააღმდეგ მატჩისას მოაწონა თავი.

ნაკრებში ორი დებიუტანტიცაა: მიდლსბროელი სტიუარტ დაუნინგი და კრისტალ პალასელი ფორვარდი ენდრიუ ჯონსონი.

ისიც გამჟღავნდა, რომ ერიკსონი თამაშს 4-3-3 სქემით დაიწყებს და რაიტ-ფილიპსს თავდასხმაში ათამაშებს, მერე კი 4-4-2 სქემაში გადავა, შესაბამისად, სიტელი უკან დაიწევს.

ამასობაში, ჰოლანდიელები „ვილა პარკზე“ მეტად უცნაური, შავთეთრი ფორმით გავლენ, რითაც ხალხს მიანიშნებენ, რასიზმისგან თავი შორს დაიჭირეთო. თუმცა უფრო მნიშვნელოვანი — საფეხბურთო თვალსაზრისით — არიენ რობენის, რუუდ ვან ნისტელროის და პიერ ვან ჰოიდონკის ტრავმებია.

„ნარინჯისფერთა“ მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა თქვა: „ვიცი, რომ ინგლისელებს ბევრი ფეხბურთელი აკლიათ, განსაკუთრებით დაცვაში აქვთ პრობლემები, მაგრამ



სვენ-გორან ერიკსონს (მარცხნივ) ბლომად ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავს

მე ეს ნაკლებად მაინტერესებს. ამ მატჩში ჩემი დაცვის ორგანიზების ვარიანტებს დავამუშავებთ“.

ფაქტობრივად, ჰოლანდიელთა საკარაუდო შემადგენლობას თუ გადავავლებთ თვალს, უკანა ხაზში მხოლოდ ერთ გამოცდილ ფეხბურთელს აღმოაჩენთ — ბარსელონელ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს.

ირაკლი ნინიძე

ტრეზეგეს კალენდარი ივნისი, თებერვალი..

საფრანგეთი – შვედეთი

კუპე, ძებინა, სკილაჩი, გივე, გალასი, ვიეირა, პედრეტი, მერიემი, ჟიული, ანრი, ტრეზეგე	ჰედმანი, ნილსონი, ლუკიჩი, ოსტლუნდი, მელბერგი, ა. ანდერსონი, ფარნერუდი, ლიუნგბერგი, ვილჰელმსონი, ოლბოკი, როზენბერგი

მსაჯი: ხულიან როდრიგეს სანტიაგო (ესპანეთი)

ტიერი ანრის და დავიდ ტრეზეგეს მწვრთნელი რაიმონ დომენეკი საფრანგეთის რჩეულ ფორვარდებად თვლის

რაიმონ დომენეკი იმედოვნებს, რომ დავიდ ტრეზეგეს დაბრუნებით გუნდის შეტევა გაუმჯობესდება და საფრანგეთის ნაკრებიც მისი თავკაცობით პირველ საშინაო შეხვედრას მოიგებს.

ტრავმის გამო ტრეზეგე შარშანდელი ივნისის შემდეგ „ლურჯებში“ აღარ გამოჩენილა. შვედებთან კი დღევანდელ მატჩში „იუვენტუსის“ ფორვარდი ტიერი ანრისთან წყვილში ითამაშებს.

„ისინი საფრანგეთის საუკეთესო მეგოლეები არიან — თქვა დომენეკმა — ჩემი საქმე ისაა, რომ მათ ყველანაირად დავეხმარო, დანარჩენს კი თვითონ მიხედონ. გასულ წელს (ნოემბერში) პოლონეთთან მატჩში აშკარად გვეტყობოდა უფორვარდობა“.

საფრანგეთის ნაკრებს ევრო 2004-ის მეოთხედფინალში სპერინეთთან მარცხის შემდეგ აღარ წაუგია: კვიპროსს და ფარერებს სტუმრად მოუგეს, მაგრამ ოთხი საშინაო შეხვედრა ფრედ დასრულეს, მათ შორის სამი უგოლოდ.

„ჩვენ ახლა ძალიან გვჭირდება შინ ერთხელ მაინც მოგება და მერწმუნეთ, ეს დანავსული სერია შეწყდება. ვიმედოვნებ, რომ აღმასვლა შვედების ძლევით დაიწყება, რადგან შეგვიძლია კარგი ფეხბურთის თამაში და ეს ყველამ ვიცით“ — ამბობს ბენუა პედრეტი.

ზინედინ ზიდანმა, მარსელ დესაი, ლილიან ტურამმა და ბიქსენტ ლიზარაზუმ სანაკრებო კარიერა რომ დაასრულეს, რა თქმა უნდა, გეცოდინებათ. მათმა წასვლამ კი ბუნებრივია, გუნდში ცვლილებები გამოიწვია. ამიტომაც ამბობს დომენეკი, მოთმინება გვმართებსო: „ჩვენ ყოველ მომდევნო მატჩში უკეთესად ვთამაშობთ და ეს მაიმედებს“.

შვედებისთვის კი საფრანგეთთან შეხვედრა რეპეტიციაა შვეიცარიასთან და ისრაელთან შესარჩევ მატჩებამდე, რომლებიც მარტში გაიმართება. სკანდინავიელები შარშან ევრო 2004-ის მეოთხედფინალში ჰოლანდიასთან პენალტებით დამარცხდნენ და მას შემდეგ, მხოლოდ ერთხელ, ხორვატიასთან წაგეს. შვედთა მთავარმეგოლე, დავიდ ტრეზეგეს იუვენტუსელი თანაგუნდელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ნაკრებს ზურგის ტრავმის გამო დააკლდება. „ჩემი ფეხბურთელები ჯანზე არიან და მოტივაციაც საკმაო აქვთ, რადგან მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონებს ხვდებიან. ვფიქრობ, ჩვენი გუნდი ისეთივე ძლიერია, როგორიც შარშან, პორტუგალიაში იყო“.

ვაჟა ხუციშვილი

ამხანაგური მატჩები

დაფის ორმოცდამეათე

ბრიტანელები სამხრეთელებს თავდასხმაში გამოსცდიან

ირლანდია — პორტუგალია

გივენი, ფინანი, ობრაიენი, დანი, ოში, კილბეინი, ჰოლანდი, მილერი, დაფი, რობი კინი, მაკენი	რიკარდუ, პ. ფერეირა, ჟორჟე ანდრადე, მეირა, მ. კანეირა, პეტიტი, უგო ვიანა, დეკო, კ. რონალდო, სიმაო, პაულეტა

მსაჯი: მეტ მესიასი (ინგლისი)

კევინ კილბეინი (№8) და დემიენ დაფი (№11) დღეს იუბილარები არიან

ირლანდიელები იუბილეებისთვის ემზადებიან. ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის, კევინ კილბეინისთვის პორტუგალიასთან მატჩი კარიერაში მესამოცე სანაკრებო იქნება, ჩელსელი დემიენ დაფისთვის კი — ორმოცდამეათე.

ირლანდიაც და პორტუგალიაც მსოფლიოს ჩემპიონატის თავიანთ შესარჩევ ჯგუფებში ჯერაც დაუმარცხებელნი არიან. ამასთანავე, ევროპის ვიცე-ჩემპიონებმა ხუთ მატჩში 20 გოლიც გაიტანეს, რაც ჯერჯერობით საუკეთესო შედეგია ევროპის ყველა შესარჩევ ჯგუფში.

ამ მატჩში კი ვნახოთ, რა გამოვა: პორტუგალიელთა საუკეთესო თავდასხმა ირლანდიელთა საუკეთესო დაცვას დაეჯახება. ბრიტანელებს ოთხ შესარჩევ შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი აქვთ გაშვებული.

თუმცა, ირლანდიელებს როი კინი არ ეყოლებათ, ვინც ნახევარდაცვაში, მოგეხსენებათ, დიდი ძალაა. ამავე დროს, კინი ირლანდიელთა ერთადერთი დანაკარგია და მენეჯერმა ბრაიან კერმაც სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება.

კერისავე თქმით, საამმატჩოდ მისი მთავარი მიზანი ის არის, რომ ფეხბურთელებმა ურთიერთშეთანხმებული თამაში გაიხსენონ, რაკიღა ნაკრებში ერთმანეთის მხარდამხარ ორ თვეზე მეტხანს აღარ უთამაშიათ.

პორტუგალიას კი ჩვეული სასტარტო შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი გამოაკლდა ტრავმების გამო. ამავე დროს, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ორი დებიუტანტიც გამოიძახა. მწვრთნელმა თქვა: „ამხანაგური მატჩი საუკეთესო საშუალებაა ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოსაცდელად". ეს ახალწვეულები კი ბენფიკელი ნახევარმცველი მანუელ ფერნანდეში და პორტუელი ცენტრალური მცველი რიკარდუ კოშტა არიან.

ბოლოს დავძინოთ, რომ ირლანდია და პორტუგალია 1946 წლიდან მოყოლებული 11-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და აქედან სამხრეთელებმა ექვსჯერ მოიგეს, ბრიტანელებმა კი სამჯერ. მათი ბოლო ორი შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით, 1:1 დასრულდა.

კოტე კეკელია

გერმანია — არგენტინა

ლემანი, ჰინკელი, ფრიდრიხი, ვიორნსი, შულცი, შნაიდერი, ფრინგსი, ერნსტი, შვაინსტაიგერი, კლოზე, კურანი	აბონდანსიერი, ძანეტი, მ. როდრიგესი, ჰაინცე, სორინი, რიკელმე, სკალონი, კამბიასო, აიმარი, კრესპო, სავიოლა

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

კანი სკამზე

კლინსმანმა ბალაკი ნაკრებიდან გაუშვა

2005 წელს გერმანიის ნაკრები არგენტინასთან ამხანაგური მატჩით იწყებს, თუმცაღა კაპიტნის ვარეშე მოუწევს თამაში. მიხაელ ბალაკი შეკრებაზე კი გამოცხადდა, მაგრამ თავი შეუძლოდ იგრძნო და იურგენ კლინსმანმაც დაითხოვა.

„ბალაკი მიუხეზნში დავაბრუნე, მახსოვს, ბრაზილიასთანაც ვერ იყო კარგად, მაინც ითამაშა და საქმე უფრო ცუდად წაუვიდა. ამიტომ რისკის გაწევა უაზრობაა" — განმარტა ბუნდესნაკრების მწვრთნელმა.

კლინსმანის დანიშვნის მერე გერმანიამ შვიდი მატჩი ჩაატარა, რომელთაგან ხუთი მოიგო და ერთში დამარცხდა. თუმცა ისიცაა, რომ იმ ხუთი მოგებული თამაშიდან გერმანიას ერთშიც არ ჰყოლა მართლა ძლიერი მეტოქე. ბრაზილიასთან ნახსენები მატჩი კი ფრედ დასრულდა. ფაქტობრივად, გერმანელებს 2000 წლის მერე ტოპკლასის მეტოქე არ დაუმარცხებიათ. მაშინ მათ „უემბლზე" ინგლისს მოუგეს.

შევნიშნოთ ისიც, რომ არგენტინის მერე, გერმანელებს რიგში ჩრდილოეთ ირლანდია და საფრანგეთი უდგათ.

„ეს წელი ჩვენთვის ჰაილაითებით იქნება სავსე — თქვა კლინსმანმა — სასწავლო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს და მსოფლიოს ჩემპიონატის წინ სწორედ დიდ გუნდებთან მატჩები გვჭირდება".

არგენტინასთან მატჩის წინ კი, ბალაკის არყოფნის გარდა, მთავარი ამბავი ოლივერ კანის სათადარიგო მეკარედ გამწესებაა. კლინსმანი კარს იენს ლემანს ანდობს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ლემანი რამდენიმე თვეა, „არსენალის" ძირითად მეკარედ აღარ ითვლება. კლინსმანმა კი თქვა, მომდევნო ამხანაგურ მატჩში კანს დავაყენებ და ასე, რიგრიგობით თამაშით გავიგებთ, რომელი მეკარე უფრო იმსახურებს პირველ ნომრობას მუნდიალზეო.

კოტე კეკელია

იურგენ კლინსმანმა ოლივერ კანს იენს ლემანი ამჯობინა

გაზაევმა იარცევს ფეხბურთელები დაუმალა

იტალია — რუსეთი

ბუფონი, ბონერა, ნესტა, ფ. კანავარო, კიელინი, გატუზო, დე როსი, ესპოზიტო, ტოტი, ჯილარდინო, მონტელა	მალაფეევი, ევსეევი, სენიკოვი, ბუგაევი, სმერტინი, ალენიჩევი, ლოსკოვი, ჟირკოვი, კარიაკა, სიჩოვი, კერჟაკოვი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)





მარჩელო ლიპი და გეორგი იარცევი ერთმანეთს შეცვლილ ნაკრებებს შეახვედრებენ

გეორგი იარცევმა რომში მხოლოდ თხუთმეტი ფეხბურთელი ჩაიყვანა, რომელთაგანაც ერთი მსუბუქად, მაგრამ ტრავმირებულია. საქმე ისაა, რომ ცსკა-მ ნაკრებისთვის ხალხი ვერ გაიმეტა. ვალერი გაზაევი თავისი გუნდით ახლა ისრაელშია შეკრებაზე და ნაკრების თავკაცს მოურიგდა, უეფას თასზე „ბენფიკასთან" მატჩი გველის და გთხოვ, ბიჭებს ნუ წამართმევო.

სანამ რუსები და იტალიელები ამხანაგურად შეხვედრაზე შეთანხმდებოდნენ, იარცევისთვის არაერთ მეგობარს უთქვამს, რად გინდოდა „სკუადრა აძურა", ხომ იცი, ჩვენთან სეზონი არაა და სხვა, შედარებით სუსტი მეტოქე მოგეძებნაო, მაგრამ მწვნთნელმა მაინც დაიჟინა და დღეს კალიარიში მასპინძლებთან ჭიდილი „თოთხმეტნახევარი" კაცით მოუწევს.

იტალიაში გუნდს ხუთი დაშავებული მოთამაშე ვერ გაჰყვა — რომან პავლიუჩენკო („სპარტაკი"), ანდრეი არშავინი, ვლადიმირ ბისტროვი (ორივე „ზენიტი"), იგორ აკინფეევი და ალექსეი ბერეზუცკი (ორივე ცსკა).

ამასობაში, მარჩელო ლიპი სტუმრებს სავარაუდოდ, 4-3-3-ით დაუხვდება: „ნახევარდაცვისთვის ისეთი ფეხბურთელები შევარჩიე, რომლებსაც მეტოქის შეტევების ჩაშლა კარგად ეხერხებათ" — თქვა მწვრთნელმა. ანუ ჯენარო გატუზო, დანიელე დე როსი და მაურო ესპოზიტო შუახაზს აითვისებენ, შეტევაში კი ტოტი, ჯილარდინო, და მონტელა ითამაშებენ.

ლიპიმ ტრავმირებული ანტონიო კასანო შეკრებიდან გაათავისუფლა, „კალიარის" თავდამსხმელ ანტონიო ლანგელას კი ეროვნულ გუნდში პირველად უხმო. ლანგელა ლიპის დანიშვნის დღიდან ნაკრებში მიწვეული რიგით 46-ე ფეხბურთელია.

„იუვენტუსის" ყოფილმა თავკაცმა ადრევე განაცხადა, ძველი დამსახურებისთვის ეროვნული გუნდის მაისურას ვერავინ მოირგებს, მხოლოდ იმ მოთამაშეებს შევკრებ, რომლებიც კონკრეტული მატჩისთვის სხვებზე უკეთეს ფორმაში იქნებიანო — შედეგად, დელ პიერო, დი ვაიო, კორადი, ფიორე და პეროტა ოფსაიდში აღმოჩნდნენ. ახალგაზრდებს — ჯილარდინოს, დე როსის და კიელინის კი სანაკრებოდ გაუხსნეს გზა.

იმავდროულად ლიპის, კრისტიან ვიერი არ დავიწყებია, რადგან „ინტერი" ბოლოს კარგად და შედეგიანად რომ თამაშობს, ბობოს დაშსახურებაცაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ევრო 2004-ზე ბულგარეთთან 2:1 მოგებული მატჩის შემდეგ, ვიერის „სკუადრა აძურა" არ ღირსებია და ამჯერად ლიპის გაახსენდა.

ვაჟა ხუციშვილი

რონალდინიო ორი წლის ყოფილა ბრაზილიელმა ესპანელობა ისურვა



„ატლეტიკოსთან“ წაგების მერე ხალხი ალაპარაკდა, „ბარსელონა“ ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტად კი რჩება, მაგრამ ძალიან კი გაუჭირდება მიზნის მიღწევაო.

მართლაც, „ბარსა“ უახლოეს მდევარს ერთხანს ათი ქულითაც უსწრებდა, ახლა კი სხვაობა მასსა და მოსისხლე „რეალს“ შორის მხოლოდ ოთხი ქულაა, თანაც „ბარსა“ „სანტიაგო ბერნაბეუზეც“ ჩასასვლელია...

„მე სულაც არ ვღელავ — უთქვამს ნამატჩევს ფრანკ რაიკარდს — უბრალოდ, ერთი მატჩი წავაგეთ. წინ კი კიდევ ბევრი თამაში გვაქვს და ღრმად მწამს, დარჩენილ მატჩებში ძალაც გვეყოფა და ხასიათსაც გამოვაელენთ.“

მწვრთნელი მომდევნო თამაშებს ახსენებს და ეგებ იმასაც გულისხმობდეს, „ბარსელონას“ „რეალზე“ უკეთესი კალენდარი რომ აქვს.

ჩამოვთვალოთ: „ბარსელონას“ უახლოესი მეტოქეები „სარაგოსა“, „მალიორკა“, „ნუმანსია“, „ესპანიოლი“ და „ოსასუნა“ არიან. ამავე პერიოდში კი „რეალს“ „ოსასუნასთან“, „დეპორტივოსთან“, „ვალენსიასთან“, „ბეტისთან“ და „ბილბაოსთან“ უწევს ბრძოლა.

ამასობაში, ეგებ რონალდინიომ, „ატლეტიკოს“ შეცდომა და „ბარსელონას“ სასარგებლოდ კიდევ თუ დაინიშნა პენალტი, უკეთესად დაარტყას. „ატლეტიკოსთან“ გაფუჭებული თერთმეტმეტრიანის მერე კი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა თქვა: „ჩვეულებრივად დავარტყი, როგორც ყოველთვის ვურტყამ-ხოლმე, ძლიერად და კუთხეში. ძალიან კი მწყდება გული, რომ ავაცილე, მაგრამ ახლა ველარაფერს შევცვლი. მხოლოდ ის შემიძლია, რომ პენალტის დარტყმაზე უფრო მეტი ვივარჯიშო.“

ვფიქრობთ, ივარჯიშებს, მაგრამ რონალდინიოს თაობაზე სხვა უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ამბავიც გვაქვს — ის ესპანეთის მოქალაქეობის მიღებას აპირებს.

ესპანური კანონებით ბრაზილიელებს, რომლებიც ორი წლის განმავლობაში მუშაობენ ქვეყანაში, ორმაგი მოქალაქეობის მიღების უფლება აქვთ ანუ ბრაზილიური პასპორტიც ექნებათ და ესპანურიც. ორ წლამდე კი ესპანეთის მოქალაქეობას ისე ვერ მიიღებენ, თავდაპირველ მოქალაქეობაზე უარი რომ არ თქვან.

მოკლედ, რონალდინიოს ორი წელი გაისად, ივლისში შეუსრულდება.

ორმაგი მოქალაქეობა ფეხბურთელისთვის ცხადია, მოსახერხებელია — რაკი ესპანეთი ევროკავშირის წევრია, ფაქტობრივად მთელ ევროპაში უვიზოდ და შეუფერხებლად ივლის. მაგრამ, ეს ხეირი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მისი გაესპანელება „ბარსელონას“ მოუტანს — რონალდინიო უცხოელად აღარ ჩაითვლება და შესაბამისად, კლუბს კიდევ ერთი არაევროპელის ყიდვის საშუალება ექნება. გეხსომებათ, სწორედ უცხოელთა ლიმიტის გამო გაუშვა თავის დროზე „ბარსამ“ არგენტინელი ხავიერ სავიოლა.

გარდა ამისა, ევროკავშირელი ფეხბურთელები სატრანსფერო ბაზარზე ყოველთვის მეტად ფასობენ.

...მატჩში, რომლითაც თხრობა დავიწყეთ, ფერნანდო ტორესმა „ბარსას“ ორი გოლი რომ გაუტანა, თამაშის მერე გული კადაუშალა: „თუ „ატლეტიკოდან“ ოდესმე წავალ, მხოლოდ „ბარსელონაში“!

მოგეხსენებათ, მცოდნე ხალხი დიდი ხანია ამტკიცებს, ასეთი ხალასი ნიჭის მქონე ფეხბურთელს „ატლეტიკოში“ არ გააჩერებენ, მის გადაბირებას გრანდები ეცდებიან და ადრე თუ გვიან გამოუვათო.

სანამ ხესუს ხილი ცოცხალი იყო, ტორესთან მიჩოჩება ვერავინ შეძლო, ახლა კი ჩანს, რომ ეს მალე მოხდება — „ბარსელონაშიც“ ითქვა, მომდევნო სეზონისთვის კლუბის მთავარი სამიზნე სწორედ ფერნანდო ტორესი იქნებაო.

ვინძლო განმარტება არც უნდა სჭირდებოდეს, თუ რატომ მიილტვიან ფეხბურთელები „ბარსელონას“ დარი გრანდებისკენ, თუმცა ტორესის განმარტება მაინც საინტერესო უნდა იყოს: „თუკი „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ მომიწევს თამაში, მხოლოდ „ბარსელონას“ შემადგენლობაში. ნებისმიერ სხვა ესპანურ გუნდში გადასვლა, ჩემთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.“

ბოლოს კი ერთი ბარსელონური ამბავიც ვახსენოთ: გუშინ სან პაულუდან ბარსელონაში ტიაგო მოტა დაბრუნდა. ბრაზილიელი ნახევარმცველი — რომელიც 12 სექტემბერს „სევილიასთან“ მატჩისას დაშავდა და მყესები გაუწყდა — მკურნალობის კურსს სამშობლოში გადიოდა და კლუბს მომჯობინებული დაუბრუნდა. ახლა მოტას ფორმის აღდგენაღა სჭირდება და იძახის, მარტში თამაშსაც შევძლებო. თუმცა ექიმები ასე დარწმუნებით არ ამბობენ — შესაძლებელია, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა.

ყოველ შემთხვევაში, მოტამ ტრავმის სიმძიმე უკვე უკან მოიტოვა...

კოტე კეკელია

სლოვენიური „ლიუბლიანას“ მეკარე ნედზად ბოტონჯიჩი, მოულოდნელად ვარჯიშისას გარდაიცვალა. ექიმების თქმით, 27 წლის გოლკიპერს გულის შეტევა დაემართა. თუმც, არაოფიციალური ცნობით, ბოტონჯიჩის დაღუპვის მიზეზი გადამეტებული დოზით მიღებული დოპინგია. შეგახსენებთ, რომ ეს უკვე მეათე შემთხვევაა, როდესაც ფეხბურთელი მინდორზე ვარჯიშის ან თამაშისას დაიღუპა.

შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ სერბი ნახევარმცველი დრაგან მლადენოვიჩი სეზონის ბოლომდე ბასკურ „სოსიედადში“ ითამაშებს. გლაზგოელებმა 28 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ, თავის დროზე ბელგრადულ „ცრვენა ზვეზდას“ 250 ათასი ევრო გადაუხადეს, მაგრამ მლადენოვიჩი „ჩაფრებს“ ვერ შეეწყო და კარიერის გაგრძელებაც ესპანეთში ამად გადაწყვიტა.

ინგლისური „ჩელსისა“ და ჰოლანდიის ნაკრების გარემარბ არიენ რობენს ტრავმის გამო ექვსი კვირა გაუცდება. შეგახსენებთ, რობენმა „ბლეკბერთან“ მატჩისას იტკინა ფეხი და მე-10 წუთზევე დატოვა მინდორი. არადა, ამ მომენტამდე ჰოლანდიელმა გოლის გატანაც მოასწრო. 21 წლის რობენი სულ ცოტა, პრემიერლიგის სამ მატჩს, ინგლისის ლიგის თასის ფინალს „ლივერპულთან“ და ასევე, „ბარსელონასთან“ საჩემპიონთალიგო მერვედფინალურ შეხვედრებს გამოტოვებს.

რუსული „დინამო“ „პორტუს“ ნახევარმცველებს — მანიშეს და კოშტინიას, ალბათ, ზაფხულში გადაიბირებს. მოსკოვურ კლუბს იანვარშივე სურდა ამ ფეხბურთელების შეძენა, თუმც „პორტუ“ ორი წამყვანი ფეხბურთელის შუა სეზონში გასხვისებას არ დათანხმდა.

ბელგიურმა „ანდერლეხტმა“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დაატოვებინა უგო ბროოსს. მიზეზი ბანალურია: „ანდერლეხტმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ექვსივე თამაში წააგო და შინაურ იუპილერლიგაშიც გვარიანად ჩამორჩება ლიდერ „ბრიუგეს“. „ჩვენ არ გვსურდა შუა სეზონში ასეთი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ „ანდერლეხტს“ უკეთესი შედეგები ეკადრებოდა“ — ეს კლუბის ოფიციალური განცხადებაა, ხოლო ბროოსის შემცვლელი ჯერ უცნობია.

ინგლისური „ლივერპულის“ თავკაცმა რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, რომ გერმანელი ნახევარმცველი დიტმარ ჰამანი მომავალ სეზონშიაც დარჩება გუნდში. „კლუბის ხელმძღვანელობამ ჰამანის აგენტთან უკვე მოილაპარაკა და მალე ფეხბურთელთან ახალ კონტრაქტსაც გავაფორმებთ. „დიდიმ“ ძალიან კარგად ითამაშა პრემიერლიგის პირველ წრეში და მჯერა, დარჩენილ ტურებშიც არანაკლებ რიგიანად გაირჯება. მისი გამოცდილება და პროფესიონალიზმი „ლივერპულს“ ძალიან სჭირდება“ — დასძენს ბენიტესი.

ავსტრიული „რაპიდის“ კაპიტანი შტეფან ჰოფმანი, ალბათ, უახლოეს მომავალში ერთ-ერთ რუსულ კლუბში გადავა. 24 წლის ჰოფმანი მიუნხენის „ბაიერნის აღზრდილია და თავის დროზე გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც უბურთავია. ფეხბურთელი ამბობს, რომ იგი ავსტრიული მაქსიმუნდესლიგისთვის უკვე გადაიზარდა და უკეთეს გუნდში თამაშს იმსახურებს. ჰოფმანს გერმანული კლუბებიდანაც ჰქონდა მიწვევა, მაგრამ პირობები არ მოიწონა. შტეფანის სატრანსფერო ფასი 3 მილიონი ევროა.

იტალიურმა „ბრეშამ“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გამოცდილი ჯოვანი დე ბიაზი დაითხოვა. „ახალ თავკაცს ხუთშაბათს დავნიშნავთ. მადლობა დე ბიაზის გაწეული სამსახურისთვის, მაგრამ „ბრეშა“ უკეთეს შედეგებს იმსახურებს“ — ამბობს კლუბის პრეზიდენტი ჯინო კორიონი. „გაძეტა დელო სპორტთან“ ინტერვიუში კორიონის სავარაუდო კანდიდატი არ გაუმხელია.

გერმანიის ეროვნული გუნდის მწვრთნელ იურგენ კლინსმანს ბუნდესნაკრებში ყოფილი თავკაცის, ბერტი ფოგთსის დაბრუნება სურს. „ვფიქრობ, ბერტის უზარმაზარი გამოცდილება დიდად წაგვადგება. საფეხბურთო კავშირის უახლოეს აღმასკომზე ამ საკითხს პირადად გავიტან. ალბათ, ნაკრებში დაბრუნების წინააღმდეგი არც თავად ფოგთსი იქნება“ — თქვა კლინსმანმა. შეგახსენებთ, ბერტი ფოგთსი ახლა უმუშევარია, იგი ბოლოს შოტლანდიის ნაკრებს წვრთნიდა.

ბელგიური „ბრიუგეს“ მწვრთნელმა ტრონდ სოლიედმა შესაძლოა, ბერძნული „პანათინაიკოსი“ ჩაიბაროს. ათენურ კლუბს ახლა ჩეხი ზდენეკ შჩასნი წვრთნის და როგორც გაირკვა, „პანათინაიკოსის“ შეფობა მისით უკმაყოფილოა. დასთანხმდება თუ არა, სოლიედი ბერძენთა შეთავაზებულ წინადადებას, ჯერ უცნობია.

ინგლისური „ბლეკბერნის“ ამერიკელმა მეკარემ, ბრედ ფრიდელმა სანაკრებო კარიერა დაასრულა. „ახლა 33 წლის ვარ. ვფიქრობ, მართებული გადაწყვეტილება მივიღე, აშშ-ის ნაკრებში ჩემზე ახალგაზრდებმა უკვე უნდა ითამაშონ“ — ამბობს ფრიდელი. ჩვენ კი შეგახსენებთ, ბრედ ფრიდელი ამერიკელთა ნაციონალური გუნდის კარში პირველად შორეულ, 1992 წელს ჩადგა და მისი ღირსებაც 82 მატჩში დაიცვა.

იტალიურ „მილანს“ ზაფხულში ალბერტო ჯილარდინოს გადაბირება რომ სურს, არახალია. ახლა კი გაირკვა, რომ ახალგაზრდა პარმელით ყოვლისმოსურნე „ჩელსიც“ ყოფილა დაინტერესებული. ლონდონელთა ოლიგარქი პატრონი რომან აბრამოვიჩი „პარმას“ ჯილარდინოს სანაცვლოდ თურმე 20 მილიონ ევროსაც სთავაზობს. მედიის ცნობით, „ჩელსის“ „მილანთან“ შედარებით კოზირი უჭირავს და „როსონერის“ უთვლის — თქვენ თუ არგენტინელი ერნან კრესპოს საბოლოოდ შეძენა გსურთ, მაშინ ჯილარდინოს შეეშვითო. „მილანი“ ფიქრობს.

გერმანია

II ბუნდესლიგა. XX ტური

ბურგჰაუზენი 2:1 დინამო

1:0 რაიზინგერი (19), 2:0 შიდტი (48), 2:1 ბრინკმანი (51)

დუისბურგი	20	13	3	4	34:20	42
კოლონი	20	12	4	4	40:22	40
ფიურტი	20	12	3	5	32:20	39
ალემანია	20	10	4	6	39:20	34
ზაარბრიუკენი	20	9	4	7	30:22	31
აინტრახტი	20	9	4	7	34:31	31
მიუნხენი	20	7	7	6	27:29	28
აუე	20	8	3	9	28:23	27
ბურგჰაუზენი	20	7	5	8	25:32	26
ალენი	20	6	7	7	20:22	25
ტრიერი	20	5	10	5	26:30	25
უნტერჰახინგი	20	7	2	11	29:32	23
კოტბუსი	20	6	5	9	23:28	23
ობერჰაუზენი	20	6	4	10	25:39	22
კარლსრუე	20	5	6	9	23:31	21
ერფურტი	20	4	8	8	17:28	20
ესენი	20	3	10	7	26:36	19
დინამო	20	5	3	12	25:38	18

პორტუგალია

სუპერლიგა XX ტური

სეტუბალი 0:0 ბოავიშტა

ბენფიკა	20	11	4	5	33:21	37
პორტუ	20	10	7	3	26:14	37
ბრაგა	20	10	6	4	29:15	36
სპორტინგი	20	10	5	5	41:27	35
ბოავიშტა	20	10	5	5	24:23	35
მარიტიმუ	20	8	9	3	23:16	33
რიუ ავე	20	7	10	3	27:22	31
სეტუბალი	20	8	5	7	27:22	29
გიმარაეში	20	8	5	7	20:18	29
ლეირია	20	6	9	5	20:19	27
ნასიონალი	20	8	3	9	27:29	27
ბელენენსეში	20	7	4	9	29:27	25
ქილ ვისენტე	20	6	5	9	22:24	23
პენაფიელი	20	6	2	12	18:36	20
ეშტორილი	20	5	4	11	23:29	19
მორეირენსე	20	3	8	9	17:30	17
ბეირა მარი	20	4	5	11	21:39	17
აკადემიკა	20	3	4	13	14:30	13

ინგლისი

შოტლანდია

ასოციაციის თასი. მეოთხედფინალის ფინალისტი

როსი ან კლაიდი — სელტიკი; ჰართსი ან კილმარნოკი — ლივინგსტონი; დანდი იუნაიტედი — აბერდინი; პიბერნიანი — სენტ მირენი

მატჩები გაიმართება 26-27 თებერვალს

იტალია

სერია B. XXV ტური

ჩეზენა 1:0 პიაჩენცა

1:0 კონფალონე (60)

ტორინო 2:0 ბარი

1:0, 2:0 მარაცინა (71, 73)

ჯენოა	25	13	10	2	46:24	49
ემპოლი	25	12	8	5	36:21	44
ტორინო	25	13	5	7	31:22	44
ვერონა	25	12	5	8	45:31	41
პერუჯა	25	11	8	6	32:22	41
ტრევიზო	25	12	5	8	29:26	41
ასკოლი	25	11	7	7	35:32	40
ჩეზენა	25	10	7	8	31:32	37
პიაჩენცა	25	11	2	12	29:32	35
ალბინოლეფე	25	9	7	9	36:31	34
ვიჩენცა	25	10	4	11	40:40	34
კატანია	25	7	11	7	26:29	32
არეცო	25	6	13	6	35:31	31
მოდენა	25	10	5	10	27:27	31
ტერნანა	25	7	10	8	28:30	31
პესკარა	25	7	9	9	25:36	30
ბარი	25	6	11	8	24:26	28
სალერნიტანა	25	7	6	12	32:39	27
ტრიესტინა	25	7	6	12	25:35	27
კატანძარო	25	5	6	14	24:45	21
კროტონე	25	5	8	12	23:33	20
ვენეცია	25	4	7	14	19:34	19

„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „კროტონეს“ — 3 და „ბარის“ — 1 ქულა

ფრეი ვერ იფრენს
ის მხოლოდ საუკეთესოა

„მართლა ყველა ამბობს, რომ „ინტერს“ ჩემი დაბრუნება სურს?“ — სებასტიან ფრეის ამ ცნობის დაჯერება უჭირს, თუმცა მისი მოსმენა ძალიან უხარია, რადგან დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდა მილანში. „თუ დამიძახებენ, მზად ვარ — გულახდილად დასძენს ფრანგი იტალიელ ჟურნალისტთან, დომინიკ ანტონიონისთან საუბარში.

არადა, „პარმაში“ ფრეი გუნდის კაპიტანია. იგი საპატიო სამკლავურით მატეო ფერარის წასვლის შემდეგ დააფასეს, მაგრამ კაპიტნობა რა ბედენაა, თუკი გუნდი, რომელშიც თამაშობ, ჩემპიონთა ლიგაში ვერ ხვდება და ამის გამო ნაკრებისკენ გზა გაქვს ჩაკეტილი. თან, „პარმა“ არათუ ჩემპიონთა ლიგაში არ არის, არამედ სერია A-შიც ჯახირობს.

მაგრამ, თავად გოლკიპერი სულაც არ მისცემია სასონარკვეთილებას. მას ეჭვიც არ ეპარება, რომ ადრე თუ გვიან, ყველაფერი შეიცვლება, ხოლო მანამდე ოჯახური ცხოვრებით ხარობს

— სება, „პარმაში“ საკმაოდ „ცხელი“ ზაფხული გქონდათ, მაგრამ ბოლოს მაინც დარჩენა გადაწყვიტეთ. რატომ?

— „პარმაში“ კი ვიყავი, მაგრამ რომელიმე დიდი კლუბიდან წინადადებას ველოდი. საბოლოოდ თუ სამწუხაროდ, არავინ მომმართა და წასვლაც უაზრობად მივიჩნიე — დავრჩი.

— თქვენთან დაკავშირებით „ინტერსა“ და „არსენალს“ ახსენებდნენ. რა მოხდა, რატომ ჩაიშალა ეს ორი ვარიანტი?

— „არსენალმა“ მხოლოდ ერთხელ გამოიჩინა ინტერესი. თავიდან მახსენეს, შემეხმიანენ კიდეც და მორჩა, მერე არსენ ვენგერი აღარ დამკავშირებია. დაახლოებით ივივე მოხდა „ინტერთანაც“, ოღონდ აქ ბევრი და სრულიად უშედეგო მოლაპარაკებები გაიმართა.

— კი, მაგრამ „ინტერის“ მეკარე, ფრანჩესკო ტოლდო ხომ უკვე 34 წლისაა...

— ვიცი. მშვიდადაც სწორედ ამიტომ ვარ. სხვათა შორის, ძალიან ბევრი მეკარე უახლოვდება კარიერის დასასრულს და შესაბამისად, ამ ზაფხულს არაერთი კლუბი დაიწყებს სასურველი გოლკიპერის ძებნას.

— ისიც ითქვა, რომ ამ ზაფხულს ტოლდო „ინტერიდან“ წავალ...

— ვხედავ, რომ ფრანჩესკო კარს ფველებური სიმტკიცით ველარ იცავს და ველარც იმ სასწაულებს სჩადის, ევრო 2000-ზე რომ ახდენდა. მაგრამ, მეკარეთა ცხოვრებაში ასეთები ხშირად ხდება. იცით, თუ გუნდი ვერ გეხმარება, გოლკიპერს დაბალ ღობედ აღვიქვამენ და ყველა ეულში დადანაშაულებას გიწყებენ. სადა, ცხოვრება ასეთია: არის პერიოდები, როდესაც ნებისმიერ დარტყმას იგერიებ და არის პერიოდები, როდესაც ყველაფერს უშვებ.

— როგორ ფიქრობთ, ჯანლუიჯი ბუფონი კვლავაც მსოფლიოს საუკეთესო მეკარეა?

— ბოლო წელიწადნახევარია ისიც წვალობდა და „იუვენტუსიც“, ამიტომ ნამდვილად არ გახლავართ დარწმუნებული, რომ ბუფონი ძველებურად ფენომენალური მეკარეა.

— რომელ ახალგაზრდა იტალიელ მეკარეს უნდა მივაპყრობ საგანგებო მზერა?

— მარკო ამელიას. მომავალი მის ხელთაა, თუმცა ბუფონის შემდეგ, ვფიქრობ, იტალიას მეკარეთა მსოფლიოში ბატონობა გაუჭირდება.

— „პარმას“ ცუდ სტარტს მის შემადგენლობაში ახალგაზრდათა გამოჩენას უკავშირებთ?

— ალბათ, ასეა. თუმცა, ამ ახალგაზრდებიდან ყველა ძალიან ნიჭიერია. უცხოელები, მაგალითად, ყველანი თავიანთ ნაკრებებში თამაშობენ. ნახავთ, ჩვენ ძლიერ და მეტოქეთათვის ამოუცნობ გუნდად ჩამოვყალიბდებით. ერთადერთი, რაც გვაკლია, ერთმანეთის უკეთ გაცნობაა.

— და მაინც, როგორია ეს სეზონი „პარმასთვის“?

— სკუდეტოსთვის რომ ვერ ვიბრძოლებთ, ფაქტია, მაგრამ მერწმუნეთ, გზას მაინც ღირსეულად გავივლით.

— აი, ნამდვილი კაპიტნის სიტყვები...

— ნამდვილი კაპიტანი ჯუზეპე კარდონეა, მაგრამ სამწუხაროდ, ის დაშავებულია. მე, ალბათ, ასაკის გამო მხვდა მისი „მოადგილეობა“ პატივად და ვფიქრობ, სწორიც არის. თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, ეს მთავარ ამბად არ მიმაჩნია. მთავარი ისაა, რომ დანარჩენი ფეხბურთელები პატივისცემას მაგრძნობინებენ და თავიანთ ლიდერად მაღიარებენ.

— სილვიო ბალდინიზე რას გვეტყოდით?

— დიდებული მწვრთნელია, მაგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანია, ივი ვაჟკაცია. მის ერთ-ერთ მთავარ თვისებად და ღირსებად პატიოსნებას დავასახელებდი. ეს კი, ჩვენს დროში იშვიათი მადლია.

— თქვენი გუნდის ერთ-ერთმა ახალგაზრდამ დაიჩივლა, ბალდინი ბევრს ღრიალებსო...

— ის გუნდის სიკეთისთვის ღრიალებს. რა ქნას, როდესაც ჩვენ ყურადღება გაფანტული გვაქვს ან შეცდომებს ვუშვებთ? განა შეიძლება ადამიანმა მხოლოდ იცინოს?

— ალბერტო ჯილარდინოს კი ამ სეზონში გოლები დაუგვიანდა. რატომ?

— „ჯილამ“ მანამდე მთელი რვა თვის განმავლობაში უმაღლეს დონეზე ითამაშა. ის ძალიან ახალგაზრდაა და მეტისმეტად ბევრს მუშაობს. მერე რა, თუ ხანდახან გოლს ვერ გაიტანს. მთავარია, თავი დაანებონ და დაასვენონ. ერთ რამეში კი აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ — ალბერტო დიდებული თავდამსხმელია. თავადაც ნახავთ, რომ ის მალე მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდთა ხუთეულში [illegible]

— იქნებ ჯილარდინო ნაკრებსა და კლუბში დაწოლილმა დიდმა პასუხისმგებლობამ დათრგუნა?

— ნუ დაგვავიწყდება, რომ მას უმაღლეს დონეზე თამაშის დიდი გამოცდილება სულაც არ აქვს. აბა, რა მისი ბრალია, თუ მარჩელო ლიპის განკარგულებაში კარგი თავდამსხმელები ცოტანი არიან, ხოლო „პარმა“ ძირითადად მას ეყრდნობა. მოედანზე ყოველი გასვლის წინ, მე „ჯილას“ ერთსა და იმავეს ვეუბნები: „ალბერტო, სიმშვიდე შეინარჩუნე და ნუ დავიწყებ, რომ არავისზე არაფრით ხარ დამოკიდებული“. ვფიქრობ, წლეულს ის საბოლოოდ დაიმკვიდრებს თავის ადგილს.

— საფრანგეთის ნაკრებში ახალი მწვრთნელი, რაიმონ დომენეკი არ გიწვევთ...

— არც გამკვირვებია. როდესაც ივი 21 წლამდელთა ნაკრებს ხელმძღვანელობდა, ხშირად კონფლიქტები გვქონდა. თუ ოდესმე გამოიძახებს, ჯერ მივალ და დ

სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი						
		პრემიერლიგა						
		12 თებერვალი						
15:45	1	ევერტონი-ჩელსი	4.2	3.3	1.8	1.84	1.25	1.16
18:00	2	პორტსმუთი-ასტონ ვილა	2.2	3.2	3.0	1.3	1.26	1.54
18:00	3	ბლექბერნი-ნორვიჩი	1.85	3.2	4.1	1.17	1.27	1.79
18:00	4	ბირმინგემი-ლივერპული	3.1	3.3	2.15	1.59	1.26	1.3
20:15	5	ბოლტონი-მიდლსბრო	2.1	3.3	3.2	1.28	1.26	1.62
		13 თებერვალი						
16:00	6	სიტი-მანჩესტერი	4.2	3.3	1.8	1.84	1.25	1.16
		14 თებერვალი						
23:00	7	არსენალი-კრისტალ პალასი	1.2	5.5	12.0	1.0	1.09	3.77
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		12 თებერვალი						
18:00	8	კარდიფი-ბრაიტონი	2.15	3.2	2.95	1.28	1.24	1.53
18:00	9	ქოვენთრი-ბარნლი	2.3	3.2	2.8	1.33	1.26	1.49
18:00	10	იფსვიჩი-ლესტერი	1.65	3.3	4.7	1.1	1.22	1.93
18:00	11	ჯილინგემი-მილუოლი	2.45	3.2	2.6	1.38	1.26	1.43
18:00	12	ქპრ-პრესტონი	2.3	3.2	2.8	1.33	1.26	1.49
18:00	13	ლიდსი-რედინგი	2.3	3.2	2.75	1.33	1.25	1.47
18:00	14	სანდერლენდი-უოტფორდი	1.65	3.3	5.0	1.1	1.24	1.98
18:00	15	ქრიუ-უიგანი	2.7	3.2	2.4	1.46	1.27	1.37
18:00	16	პლიმუთი-როტერჰემი	1.95	3.2	3.5	1.21	1.25	1.67
		ინგლისი. II ლიგა						
		11 თებერვალი						
22:45	31	საუთენდი-სკანთორპი	2.2	3.2	3.0	1.3	1.26	1.54
		12 თებერვალი						
18:00	32	რაშდენი-უიკომბი	2.5	3.2	2.45	1.4	1.23	1.38
18:00	33	გრიმსბი-შრიუსბერი	1.75	3.3	4.5	1.14	1.25	1.9
18:00	34	ლეიტონი-სუონსი	2.65	3.2	2.4	1.44	1.25	1.37
18:00	35	იოვილი-როვერსი	1.6	3.4	5.3	1.08	1.22	2.07
18:00	36	ბოსტონი-ბერი	1.75	3.3	4.3	1.14	1.24	1.86
18:00	37	მენსფილდი-ჩელტენემი	2.1	3.2	3.2	1.26	1.26	1.6
18:00	38	კიდერმინსტერი-ჩესტერი	2.3	3.2	2.8	1.33	1.26	1.49
18:00	39	კემბრიჯი-მაკლსფილდი	2.95	3.3	2.15	1.55	1.24	1.3
18:00	40	ოქსფორდი-ნორთჰემპტონი	2.15	3.2	3.0	1.28	1.25	1.54
18:00	41	დარლინგტონი-ნოტსი	1.6	3.4	5.3	1.08	1.22	2.07
18:00	42	როჩდეილი-ლინკოლნი	2.3	3.2	2.8	1.33	1.26	1.49
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		12 თებერვალი						
18:00	54	ლივინგსტონი-დანდი იუნ.	2.35	3.1	2.75	1.33	1.26	1.45
18:00	55	რეინჯერსი-ჰიბერნიანი	1.25	5.0	9.0	1.0	1.09	3.21
18:00	56	ჰართსი-კილმარნოკი	1.75	3.3	4.2	1.14	1.23	1.84
18:00	57	დანდი-მოზერუელი	2.35	3.2	2.6	1.35	1.23	1.43
18:00	58	დანფერმლაინი-აბერდინი	2.5	3.2	2.55	1.4	1.26	1.41
		13 თებერვალი						
17:00	59	ინვერნესი-სელტიკი	9.5	5.0	1.2	3.27	1.06	1.0
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		12 თებერვალი						
18:00	60	პარტიკი-ერდრი	2.15	3.4	2.7	1.31	1.19	1.5
18:00	61	რეითი-კლაიდი	4.2	3.5	1.65	1.9	1.18	1.12
18:00	62	ფოლკირკი-ჰამილტონი	1.35	3.8	7.8	1.0	1.15	2.55
18:00	63	სტ.ჯონსტონი-ქუინი	1.85	3.5	3.5	1.21	1.21	1.75
18:00	64	როსი-სტ.მირენი	2.3	3.3	2.6	1.35	1.22	1.45

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		9 თებერვალი						
22:45	311	ბრეჩინი-არბროთი	1.4	4.2	5.8	1.04	1.12	2.43
		იტალია. სერია A						
		12 თებერვალი						
20:00	94	ლაციო-ატალანტა	1.55	3.5	6.0	1.07	1.23	2.21
22:30	95	ინტერი-რომა	1.85	3.2	4.2	1.17	1.28	1.81
		13 თებერვალი						
17:00	96	ლიეორნო-სამპდორია	2.7	2.8	2.65	1.37	1.33	1.36
17:00	97	იუვენტუსი-უდინეზე	1.5	3.5	7.0	1.04	1.23	2.33
17:00	98	ბრეშა-კალიარი	2.3	2.9	3.2	1.28	1.33	1.52
17:00	99	ლეჩე-კიევო	2.1	3.0	3.5	1.23	1.31	1.61
17:00	100	სიენა-მესინა	2.1	2.9	3.7	1.21	1.33	1.62
17:00	101	ბოლონია-პალერმო	2.2	2.9	3.35	1.25	1.32	1.55
17:00	102	ფიორენტინა-პარმა	2.2	2.9	3.35	1.25	1.32	1.55
22:30	103	რეჯინა-მილანი	5.0	3.1	1.75	1.91	1.29	1.11
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		12 თებერვალი						
22:00	137	სარაგოსა-ბარსელონა	4.2	3.3	1.8	1.84	1.25	1.16
23:45	140	ვალენსია-დეპორტივო	1.8	3.3	4.2	1.16	1.25	1.84
		13 თებერვალი						
19:00	136	მალიორკა-ალბასეტე	2.0	3.2	3.5	1.23	1.27	1.67
23:00	138	ბილბაო-ბეტისი	2.0	3.2	3.5	1.23	1.27	1.67
19:00	139	ესპანიოლი-ხეტაფე	1.6	3.5	5.5	1.09	1.23	2.13
19:00	141	ატლეტიკო-ლევანტე	1.6	3.5	5.5	1.09	1.23	2.13
19:00	142	ნუმანსია-მალაგა	2.35	3.2	2.8	1.35	1.27	1.49
21:00	143	ოსასუნა-რეალი	3.95	3.3	1.85	1.79	1.25	1.18
19:00	144	რასინგი-სოსიედადი	2.3	3.3	2.8	1.35	1.26	1.51
19:00	145	სევილია-ვილიარეალი	2.2	3.2	3.1	1.3	1.28	1.57
		ბელგია. I დივიზიონი						
		12 თებერვალი						
20:00	160	სტანდარდი-გენკი	2.0	3.3	3.3	1.24	1.24	1.64
22:00	161	სტ.ტრუიდენი-გენტი	2.45	3.2	2.6	1.38	1.26	1.43
22:00	162	ლუვიე-ლოკერენი	1.95	3.3	3.4	1.22	1.23	1.67
22:00	163	ბევერენი-მუსკრონი	2.0	3.2	3.4	1.23	1.25	1.64
22:00	164	ანდერლეხტი-ოსტენდე	1.15	6.0	12.0	1.0	1.04	4.0
22:00	165	ვესტერლო-ბრიუსელი	1.55	3.6	5.3	1.08	1.19	2.14
		13 თებერვალი						
17:00	166	ბეერსხოტი-სერკლი	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76
17:00	167	მონსი-ლიერსი	2.35	3.2	2.7	1.35	1.25	1.46
22:00	168	ბრიუგე-შარლერუა	1.3	4.5	8.0	1.0	1.11	2.88
		პორტუგალია						
		სუპერლიგა						
		11 თებერვალი						
23:30	197	ბელენენსეში-ეშტორილი	1.75	3.2	4.5	1.13	1.25	1.87
		12 თებერვალი						
23:45	204	ბრაგა-ბენფიკა	2.55	3.2	2.5	1.41	1.26	1.4
		13 თებერვალი						
19:00	198	მორეირენსე-უილ ვისენტე	2.25	3.1	2.95	1.3	1.27	1.51
19:00	199	პენაფიელი-ლეირია	2.4	3.1	2.75	1.35	1.28	1.45
19:00	200	ბოავიშტა-მარიტიმუ	1.85	3.2	3.9	1.17	1.25	1.75
19:00	201	აკადემიკა-ნასიონალი	2.5	3.2	2.55	1.4	1.26	1.41
21:00	202	სპორტინგი-რიუ ავე	1.5	3.6	6.0	1.05	1.2	2.25

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	203	ბეირა მარი-სეტუბალი	2.5	3.2	2.55	1.4	1.26	1.41
23:15	205	პორტუ-გიმარაეში	1.5	3.6	6.0	1.05	1.2	2.25

მს. შესარჩევი მატჩები
9 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	251	ესპანეთი-სან მარინო	1.01	8.5	17.0	1.0	1.0	5.66
18:00	252	მაკედონია-ანდორა	1.05	7.0	14.0	1.0	1.0	4.66
22:30	253	საბერძნეთი-დანია	2.1	3.0	3.2	1.23	1.26	1.54
21:45	254	ალბანეთი-უკრაინა	3.3	3.4	1.95	1.67	1.22	1.23
23:45	255	პანამა-გვატემალა	2.05	3.2	3.3	1.24	1.26	1.62
23:45	256	კოსტა რიკა-მექსიკა	3.0	3.2	2.15	1.54	1.25	1.28
13:30	257	იაპონია-კორეა	1.3	4.5	8.0	1.0	1.11	2.88
13:45	258	უზბეკეთი-ს.არაბეთი	2.15	3.2	3.0	1.28	1.25	1.54
14:05	259	ს.კორეა-კუვეიტი	1.3	4.5	8.0	1.0	1.11	2.88
18:35	260	ბაჰრეინი-ირანი	2.3	3.2	2.7	1.33	1.24	1.46
22:30	261	ტრინიდადი-აშშ	5.6	3.4	1.55	2.11	1.21	1.06

ამხანაგური მატჩები
9 თებერვალი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	268	მალტა-ნორვეგია	9.0	5.4	1.2	3.37	1.05	1.0
21:00	269	ს.აფრიკა-ავსტრალია	2.15	3.2	2.95	1.28	1.24	1.53
18:00	270	აზერბაიჯანი-მოლდოვა	2.0	3.3	3.2	1.24	1.23	1.62
19:00	271	სლოვენია-ჩეხეთი	2.95	3.1	2.2	1.51	1.26	1.28
20:00	273	ისრაელი-ხორვატია	2.75	3.1	2.3	1.45	1.25	1.32
16:00	274	ბულგარეთი-სერბეთი	2.2	3.1	2.9	1.28	1.25	1.49
21:00	275	თურქეთი-ტუნისი	1.45	3.6	6.5	1.03	1.18	2.31
22:30	276	ირლანდია-პორტუგალია	2.3	3.1	2.8	1.32	1.26	1.47
22:45	277	გერმანია-არგენტინა	2.55	3.1	2.6	1.39	1.28	1.41
22:45	278	უელსი-უნგრეთი	1.95	3.2	3.4	1.21	1.23	1.64
22:45	279	ინგლისი-ჰოლანდია	2.15	3.1	3.2	1.26	1.28	1.57
22:45	280	ჩრდ.ირლანდია-კანადა	1.95	3.2	3.55	1.21	1.25	1.68
23:00	281	საფრანგეთი-შვედეთი	1.6	3.4	5.5	1.08	1.25	2.1
23:00	310	იტალია-რუსეთი	1.5	3.5	6.0	1.04	1.2	2.21
22:00	312	ეგვიპტე-ბელგია	2.35	3.2	2.65	1.35	1.24	1.44
22:00	313	პოლონეთი-ბელარუსი	1.5	3.4	6.8	1.04	1.22	2.26

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი
TELCREDITI

10 42 00 24

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11253	საბერძნეთი-დანია	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11254	ალბანეთი-უკრაინა	5.3	10.0	20.0	6.0	4.4	4.0	20.0	10.0	2.4
11255	პანამა-გვატემალა	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11256	კოსტა რიკა-მექსიკა	5.3	10.0	20.0	6.0	4.4	4.0	20.0	10.0	3.0
11258	უზბეკეთი-ს.არაბეთი	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11260	ბაჰრეინი-ირანი	3.4	10.0	20.0	4.4	4.4	5.0	20.0	10.0	4.6
11261	ტრინიდადი-აშშ	7.5	10.0	20.0	8.5	4.4	3.5	20.0	10.0	2.0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13253	საბერძნეთი-დანია	1.7	1.9
13254	ალბანეთი-უკრაინა	1.7	1.9
13255	პანამა-გვატემალა	1.7	1.9
13256	კოსტა რიკა-მექსიკა	1.7	1.9
13258	უზბეკეთი-ს.არაბეთი	1.7	1.9
13260	ბაჰრეინი-ირანი	1.7	1.9
13261	ტრინიდადი-აშშ	1.7	1.9

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14253	საბერძნეთი-დანია	1.75	2.0
14254	ალბანეთი-უკრაინა	2.1	1.7
14255	პანამა-გვატემალა	1.75	2.1
14256	კოსტა რიკა-მექსიკა	2.0	1.8
14257	იაპონია-კორეა	1.15	2.6
14258	უზბეკეთი-ს.არაბეთი	1.75	2.1
14259	ს.კორეა-კუვეიტი	1.15	2.6
14260	ბაჰრეინი-ირანი	1.8	2.0
14261	ტრინიდადი-აშშ	2.5	1.3

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15253	საბერძნეთი-დანია	3.0	2.8	2.0
15254	ალბანეთი-უკრაინა	3.0	2.8	2.0
15255	პანამა-გვატემალა	3.0	2.8	2.0
15256	კოსტა რიკა-მექსიკა	3.0	2.8	2.0
15257	იაპონია-კორეა	3.0	2.8	2.0
15258	უზბეკეთი-ს.არაბეთი	3.0	2.8	2.0
15259	ს.კორეა-კუვეიტი	3.0	2.8	2.0
15260	ბაჰრეინი-ირანი	3.0	2.8	2.0
15261	ტრინიდადი-აშშ	3.0	2.8	2.0

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10253	საბერძნეთი-დანია	2.7	2.0	3.2	1.14	1.46	1.23
10254	ალბანეთი-უკრაინა	3.5	2.0	2.5	1.27	1.45	1.11
10255	პანამა-გვატემალა	2.5	2.0	3.7	1.11	1.49	1.29
10256	კოსტა რიკა-მექსიკა	3.3	2.0	2.7	1.24	1.48	1.14
10257	იაპონია-კორეა	1.4	2.3	6.0	1.0	1.13	1.66
10258	უზბეკეთი-ს.არაბეთი	2.6	2.0	3.75	1.13	1.53	1.3
10259	ს.კორეა-კუვეიტი	1.4	2.3	6.0	1.0	1.13	1.66
10260	ბაჰრეინი-ირანი	2.85	2.0	3.6	1.17	1.59	1.28
10261	ტრინიდადი-აშშ	7.0	2.3	1.9	1.73	1.49	1.04

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12253	საბერძნეთი-დანია	1.6	2.0
12254	ალბანეთი-უკრაინა	1.7	1.9
12255	პანამა-გვატემალა	1.7	1.9
12256	კოსტა რიკა-მექსიკა	1.7	1.9
12257	იაპონია-კორეა	1.9	1.7
12258	უზბეკეთი-ს.არაბეთი	1.7	1.9
12259	ს.კორეა-კუვეიტი	1.9	1.7
12260	ბაჰრეინი-ირანი	1.7	1.9
12261	ტრინიდადი-აშშ	1.7	1.9

ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

16253	საბერძნეთი-დანია	1.5	2.2
16254	ალბანეთი-უკრაინა	2.5	1.3
16255	პანამა-გვატემალა	1.4	2.3
16256	კოსტა რიკა-მექსიკა	2.2	1.5
16258	უზბეკეთი-ს.არაბეთი	1.45	2.2
16260	ბაჰრეინი-ირანი	1.5	2.2
16261	ტრინიდადი-აშშ	3.2	1.25

ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

		ლუწი	კენტი
17253	საბერძნეთი-დანია	1.85	1.95
17254	ალბანეთი-უკრაინა	1.85	1.95
17255	პანამა-გვატემალა	1.85	1.95
17256	კოსტა რიკა-მექსიკა	1.85	1.95
17257	იაპონია-კორეა	1.85	1.95
17258	უზბეკეთი-ს.არაბეთი	1.85	1.95
17259	ს.კორეა-კუვეიტი	1.85	1.95
17260	ბაჰრეინი-ირანი	1.85	1.95
17261	ტრინიდადი-აშშ	1.85	1.95

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ბაქო თუ ბასკო?
შეგწევს ძალა? მოუგე გალას



ნუგზარ კანდელაკი



ჟოლიეტ ტუჯანი

ფოტოები

ჩემი ხება რომ იყოს, „ბასკოს“ მთელ შემადგენლობას ბაქოში წავიყვანდი და „ნტდ-დევონის“ ხახელით აზერბაიჯანის ჩემპიონატში გამოვიდოდითო — თქვა ბათუმის აწ უკვე დაშლილი გუნდის თავკაცმა ნუგზარ კანდელაკმა, როცა საუშაოდ ბაქოში მიიწვიეს.

„დევონის“ ხელმძღვანელობამ კანდელაკს მაშინ უფლება არ მისცა, მთელი შემადგენლობა ქართველებით დაკომპლექტებინა და სეზონის დასაწყისში თავისთან მხოლოდ 4 ჩვენიანი, აქედან 3 ბასკელი იმყოფებოდა.

კანდელაკის გუნდი გამოითვლებოდა აზერბაიჯანის ჩემპიონატში, თუმცა რიგის კერძოობრივის „ვალის“ მაინც ვერ ახდობა და „დევონის“ შეგებებულ ადგილზე ხელი გაიკრეს. ქართველ მწვრთნელს ლეგიონერები შემაგების ნება დარჩა ძალიან, „დევონში“ კიდევ სამი ახალწვეული ძალა — ორი მაიამი ამავ „ბასკის“ შარშანდელი შემადგენლობიდან, თანვრის დასაწყისში ბაჭველების ანატოლი ბოისა შეემატათ, ხოლო ამ დღეებში „დევონის“ მალეფრა ძალიერი, ქართულ ჩემპიონატში ჩამოსულმა ჟოლიეტ ტუჯანმაც რომელმაც ამ სეზონის პირველი ნახევარი ირანში გაატარა...

„ბაქოსა ირანის პროვინციული ქალაქის გუნდში თამაშობდა და ძალიანდაც კარგი ფინანსური პირობებისა, იქიდან წამოსვლა გასაჭირია — ეგეთი ნუგზარ კანდელაკმა — ისიც მანდიდა ირანელების ეშინია, თუ მას ვერ დავიჭერ, ვერ გავერთობოდიო, ამიხრა ტუჯანმ. თურმე იმ ქალაქში დიდი ბოწყენილობა იყო და თბილისში გართობას ნაჩვევმაც ირანში ვეღარ გაძლო. ბაქოკი ამ მხრივ არ დაიწუნება, აქ ყველაფერია, რაც თბილისში, მხოლოდ ხალხია სხვა. ტუჯანის საქართველოში უნდოდა დაბრუნება, თუმც არც „დევონზე“ თქვა უარი, იქ ხომ მისი ძველი გუნდის, „ბასკოს“ წევრები ვართ ძირითადად. ამ უზომოდ შრომისმოყვარე კალათბურთელმა ჩვენი გუნდი საგრძნობლად გააძლიერა.“

ასე რომ, „ნტდ-დევონში“ ახლა უკვე ექვსი ყოფილი ბასკელია — ირაკლი ბერიშვილი, ლაშა კეშელავა, ანატოლი ბოისა, დავით იმნაძე, ჟოლიეტ ტუჯანი და, რა თქმა უნდა, თავად ნუგზარ კანდელაკი. დავით ბერძენიშვილი [illegible] ლია და „დევონს“ [illegible] შარშანდელი ჩემპიონის დამწყები ხუთეული ეყოლება. ისე, თუ სათამაშო პოზიციების კუთხით შევხედავთ, ეს ხუთი ექსბასკელი კალათბურთელი ზუსტად გადანწილდება მოედანზე და შესაბამისად კანდელაკს ახლაც შეუძლია აზერბაიჯანში „ბასკოს“ შემადგენლობით თამაში.

ამავდროულად „დევონს“ ერთი ლეგიონერიც დაემატა, რომელიც იმ „ხიმიკში“ თამაშობდა, ორი წლის წინ თბილისის „დინამოს“ რომ შეხვდა „ჩელენჯ ქაფის“ ჯგუფურ ეტაპზე.

„დიმიტრი ნარივანჩიკი საკმაოდ გამოცდილი მოთამაშეა და მისი შემატებით „დევონი“ უფრო სოლიდური გუნდი გახდა. ვფიქრობ, ახლა უკვე შეგვწევს ძალა, აზერბაიჯანის მარადი ჩემპიონის „გალას“ ჰეგემონია დავამხოთ — ვარაუდობს კანდელაკი — ახლა ბევრი საშუშაო გვაქვს, რაკი ახალწვეულებს შეთამაშება სჭირდებათ და მისისთვის, როცა პლეი ოფი დაიწყება, ვფიქრობ, მზად ვიქნებით.“

„დევონი“ 12 თებერვალს კვლავ შეხვდება „გალას“ და, კანდელაკის თქმით, მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. აქამდელი ორივე მატჩი კურტინაიტისის გუნდმა მოიგო, თუმც არც ისე იოლად, როგორც ლიტველი მწვრთნელი აზერბაიჯანის დანარჩენ გუნდებთანაა დაჩვეული.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

აფრინდი, შავო მერცხალო!
ვინს კარტერმა ბადეები გაშალა

7 თებერვალი

ვაშინგტონი 108:104 ინდიანა

ვაშინგტონი: არენასი (43 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), ჯემისონი (24)
ინდიანა: ონილი (30 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), ჯეკსონი (29)

ატლანტა 114:108 ლეიკერსი

ატლანტა: უოლკერი (26), დელკი (24), ჩილდრესი (19 ქულა, 11 მოხსნა)
ლეიკერსი. ოდომი (28), ბრაუნი (27), ეტკინსი (25)

მაიამი 105:96 გოლდენ სტეიტი

მაიამი: ონილი (27 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი), ე. ჯონსი (22), ვეიდი (18)
გოლდენ სტეიტი: დანლივი (26), ფიშერი (22), რიჩარდსონი (21), კლაქტონი (16)

ნიუ ჯერსი 107:97 ფილადელფია

ძირითადი დრო 93:93

ნიუ ჯერსი: კარტერი (43 ქულა, 14 მოხსნა, 5 პასი, 3 დაფარება), კიდი (22 ქულა, 16 პასი, 11 მოხსნა)
ფილადელფია: გრინი (28), ტომასი (21)

იუტა 99:102 ნიუ იორკი

ძირითადი დრო 91:91

იუტა: კირილენკო (25), ბელი (16)
ნიუ იორკი: მარბერი (30), კ. ტომასი (16), სვიტნი (15)

ნიუჯერსელებს ვახსენებაც არ უნდათ, სად იყვნენ ორი კვირის წინ. ჩვენ გავიხსენოთ: ბოლო ადგილზე ნბა-ს ექვსი დივიზიონიდან ყველაზე სუსტ ატლანტიკაში. ჯერ არც იმაზე უნდათ ფიქრი, სად იქნებიან ორ კვირაში. მაშ, ესეც ვიქვათ: ალბათ, დივიზიონის ცხრილის კენწეროში. ყოველ შემთხვევაში, ბოლო სამ წელიწადში აღმოსავლეთში ორჯერ გაჩემპიონებული გუნდის ადგილი სწორედ იქაა. სხვა საქმეა, რომ ის მძლავრი „ნეთსი“ დაიშალა. ახლა ნიუჯერსელებს ახალი კარსკვლავი ჰყავთ და მასთან ერთად — ჩემპიონობაზე ფიქრი ჯერ კი ადრეა. მაგრამ — პლეი ოფში მოხვედრა რეალურზე რეალური ჩანს.

„ტორონტოდან“ გადმოყვანილი მფრინავი ვინს კარტერი სწორედ დროულად შედის ფორმაში. ერთ ორმოცქულიან თამაშს მან მეორე მოაყოლა, „ფილადელფია სიქსერზს“ სეზონში უმეტესი, 43 ჩაუგდო და ზედ ასევე სეზონში უმეტესი მოხსნები დაამატა.

„ფილადელფიას“ თავისი და მთელი ლიგის პირველმექანელი ალენ აივერსონი აკლდა, თუმც მაინც ყოჩაღად იბრძოდა ძირითადი 48 და კიდევ დამატებითი ხუთწუთეული, მაგრამ ის თამაში მისი არ იყო. კარტერმა პირველივე წუთებიდან აიწყვიტა და დიდ შესვენებამდე მასპინძელთა 54-ქულიანი ბონაგრის ზუსტად ნახევარი პირად ანგარიშზე დასვა. „ნეთსიც“ 7 ქულით დაწინაურდა და ბოლო შვიდ თამაშში მეექვსე გამარჯვება რომ იაზრა, აი, იქ წაბორძიკდა. „ფილადელფიამ“ ცაში აფრენილ „ნიუ ჯერსის“ მესამე 12-წუთეული 14 ქულით მოუგო და მეოთხე მეოთხედში ისევ ვინს კარტერს რომ არ აეყოლიებინა თავისიანები, სტუმრები საქმეს მათთვის სასურველ ენდშპილამდე მიიყვანდნენ. ისინი ექვსიოდ წუთით ადრე 90:82 იგებდნენ და ისევ კარტერი! რამდენიმეწუთიანი აფეთქება მან ტრიალში ჩაგდებული ორქულიანით და მომდევნო, სამქულიანი შეტევით დაადგვირგვინა — 93:93 და მატჩი ოვერტაიმში განახლდა, სადაც ვინ იყოჩაღა, ამის თქმა აუცილებელი აღარ არის.

თუმც არ იფიქროთ, თითქოს მთელ „ფილადელფიას“ მხოლოდ მკლავმაგარი ვინს კარტერი უმკლავდებოდა. „ნიუ ჯერსის“ ძველმა კაპიტანმა ჯეისონ კიდმა 22 ქულა, 11 მოხსნა და სეზონში უმეტესი, 16 პასი გაიღო, რითაც კარიერაში 62-ე სამმაგი დუბლი გამოაცხო. ხოლო „ნეთსის“ ღრმა სათადარიგომ რონ მერსერმა თავისი თოთხმეტივე ქულა ბოლო მეოთხედსა და დამატებით დროში მიაშველა თავისიანებს.

7 თებერვალს კიდევ ერთი ჯეელი ასცდა 40-ქულიან თამასას. „ვაშინგტონ ვიზარდრის“ გამთამაშებელმა ჯილბერტ არენასმა ასევე 43 ქულა გაჩარხა და დედაქალაქელებს უდაძაბულეს ბრძოლაში დაამარცხებინა „ინდიანა პეისერზი“. არენასს ისედაც საუკეთესო სეზონი აქვს და ამ ბოლო თამაშებში სულ გადაირია. უკანასკნელ სამ მატჩში საშუალოდ 30 ქულა და ზედ ბლომად მოხსნა-პასები უგროვდება. ერთი სიტყვით, „ვაშინგტონის“ ამთამაშებელი არენასი ყველაფერს აკეთებს, ორ კვირაში დენვერში გასამართ ყველა ვარსკვლავის მატჩში სხვა კაშკაშათა გვერდით რომ დაიკავოს ადგილი. ვინ ითამაშებს ოლ სტარში, ამას ხვალ გავიგებთ. შეგახსენებთ, რომ უკვე ცნობილია აღმოსავლეთის და დასავლეთის გუნდების სასტარტო ხუთეულები, ხოლო დანარჩენ 7-7 ვარსკვლავს ნბა-ს მთავარი მწვრთნელები ხვალისთვის დაასახელებენ.

ექს და ვიცე-ჩემპიონ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ ოლ სტარში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ეყოლება, ან იქნებ ეს ერთიც არ ჰყავდეს. კობი ბრაიანტი დასავლეთის ხუთეულში უკვე არჩეულია. მაგრამ ტრავმა აწუხებს და ამის გამო „ლეიკერსის“ 12-კაცა განაცხადიდანაც ამოწერილია, ესე იგი, სერიოზულადაა დაშავებული. მის გარეშე კი ლოსანჯელესელები მთლად ხელწამოსაკრავები გახდნენ. თან მწვრთნელიც შეეცვალათ — ჯანმრთელობაშერყეულმა რუდი ტომიანოვიჩმა „ლეიკერსის“ საჭე ასისტენტს გადააბარა და ამანაც თავიდან ორი თამაში კი მოიგო, მაგრამ მას აქეთ გუნდმა მიჯრით სამ შემხვედრს დაუხარა თავი და სულ ბოლოს, თავადაც ხედავთ, არიფ „ატლანტასაც“ დაუჩოქა.

როგორც იქნა, გამარჯვება შეიმატა ზემოხსენებული ატლანტის დივიზიონის სათავიდან ფსკერზე დაყვინთულმა „ნიუ იორკმა“. „ნიქსი“ მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე 13 ქულას უგებდა სეზონის კარგად დამწყებ, მაგრამ მერე დაჩაჩანაკებულ „იუტას“ და — ამასაც ხომ მოხერხება უნდა — დარჩენილ დროში ეს უპირატესობა ბებიის ნაანდერძალი ქონებასავით გაანიავა. სტივენ მარბერის ოვერტაიმში რომ არ ევაჟკაცა და ერთი-ორი მნიშვნელოვანი ბურთი არ ჩაეგდო, „ნიუ იორკი“ კიდევ ერთ მეტოქეს გაახარებდა.

კოტე ჟორჟია

ᲝᲠᲘ ᲜᲔᲙᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

5-6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ პარიზულ „სუპერთასზე“ სამი მედლის მომგები საქართველოს ნაკრები ჯერაც საფრანგეთის მთავარქალაქშია. ორშაბათიდან იქ მსოფლიოს უძლიერესი ნაკრებები ერთობლივად ვარჯიშობენ და შოთა ხაბარელმაც უძლიერესი შემადგენლობა ამიტომ იახლა. ოლიმპიური გუნდიდან პარიზში მხოლოდ ორი ტრავმირებული — გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ) და ალექსი დავითაშვილი (+100კგ) ვერ გაემგზავრნენ. „სუპერთასის“ შემდეგ კი ხაბარელს გუნდის ლიდერი ზურაბ ზვიადაურიც გამოაკლდა.

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი თავისთვის უჩვეულო 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე წრეში კორეელ კვანგ-სუნ-იოსთან წაგების შემდეგ დამამშვიდებელ ეტაპზე უკვე ჰოლანდიელ ელკო ვან დერ გესტთან დამარცხდაო, იტყობინებოდა პარიზის ტურნირის ოფიციალური ვებ-გვერდი და, ცხადია, მიმოხილვაშიც ასევე დავწერეთ, თუმც, როგორც ჩანს, ჩვენებური გესტასთან საჭიდაოდ არც გასულა. კორეელთან შეხვედრისას მეტოქეზე ხუთი კილოგრამით მსუბუქ ჩვენებურს ნატკენი მუხლიც გამიზეზებია და ორი ნეკნიც გაუტეხია. ეს ინფორმაცია ზვიადაურის ახლობლებმა შეგვატყობინეს. ამის თაობაზე, თავად დაურეკავს, რახან ქართულ დელეგაციასთან დაკავშირება აქედან შეუძლებელია.

ტურნირისა და ერთობლივი წვრთნის გარდა ქართველი ძიუდოისტები პარიზში ევროპის 2005 წლის საკლუბო ჩემპიონატის წილისყრაშიც მონაწილეობდნენ. შედეგები აქაც მხოლოდ ინტერნეტზე დაყრდნობით მოვიპოვეთ.

ევროპული ძიუდოს შეფებმა ცხრა ქვეყნის თექვსმეტი კლუბი ოთხ ქვეჯგუფში გადაანაწილეს. ქვეჯგუფის ლიდერები თავიდანვე განთესეს. ეს პატივი შარშანდელ ოთხთა ფინალში გასულებს — გერმანულ „აბენსბერგს“, ჰოლანდიურ „კენამიუს“, თურქულ „სტამბოლსა“ და რუსულ „იავარა ნევას“ ერგოთ. საკლუბო რეიტინგის მიხედვით მეხუთე-მერვე ადგილზე მყოფებიც თავიდანვე კენჭისყრის გარეშე გადაანაწილეს და ის რვა კლუბი მოიტოვეს, ბობოლებად მიჩნეულთა ჩრდილში რომ უნდა მოექცნენ. ეს პირობითად, თორემ ვინ ვის წააქცევს, წლის ბოლოს გვეცოდინება, მანამდე კი ევროსარბიელის დებიუტანტი „საგარეჯოც“ სუსტებში გაერთიანეს.

ქართულ კლუბს პირველსავე წრეში ქვეჯგუფის ფავორიტად მიჩნეულ „აბენსბერგთან“ მოუწევს დაჭიდება. თურქული „იზმირი“ და ფრანგული „რასინგიც“ ამავე D ჯგუფში მოხვდნენ. ამ ოთხეულიდან საუკეთესო ნახევარფინალში გავა, სადაც სავარაუდოდ „კენამიუს“ შეეჭიდება.

ბადის ზედა ნახევარში არიან შარშანდელი სეზონის ჩემპიონ-პრიზიორები „იავარა ნევა“ და „სტამბოლი“. ასე რომ, ქართველი გულშემატკივრისთვის საოცნებო ქართულ-რუსული ჯახი ფინალამდე გამოირიცხა.

საკლუბო ჩემპიონატი 4 ივნისს დაიწყება და 15 ოქტომბრამდე გასტანს, ხოლო რომელი ეტაპი როდის და სად ჩატარდება, დაზუსტებისთანავე გაცნობებთ

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲘᲐᲕᲐᲠᲐ ᲜᲔᲕᲐ (რუსეთი)
ᲗᲔᲙᲔᲙᲝᲠᲘ ᲑᲔᲚᲓᲔ (თურქეთი)
ᲠᲐᲘᲜᲙᲐ ᲞᲘᲜᲪᲒᲐᲣ (ავსტრია)
ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ (საფრანგეთი)
ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ (თურქეთი)
ᲚᲐᲕᲐᲚᲘ (საფრანგეთი)
ᲙᲝᲠᲢᲔᲘᲚᲝ (შვეიცარია)
ᲜᲐᲘᲛᲔᲒᲔᲜᲘ (ჰოლანდია)
ᲙᲔᲜᲐᲛᲘᲣ (ჰოლანდია)
ᲛᲔᲘᲡᲝᲜ ᲐᲚᲤᲝᲠᲓᲘ (საფრანგეთი)
ᲓᲣᲑᲠᲝᲕᲜᲘᲙᲘ (ხორვატია)
ᲡᲐᲛᲑᲝ 70 (რუსეთი)
ᲐᲑᲔᲜᲡᲑᲔᲠᲒᲘ (გერმანია)
ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ (საქართველო)
ᲘᲖᲛᲘᲠᲘ (თურქეთი)
ᲠᲐᲡᲘᲜᲒᲘ (საფრანგეთი)



წავართვათ „იავარა ნევას“ საკლუბო თასი

ᲓᲐᲐᲬᲔᲥᲘ, ᲒᲐᲓᲐᲗᲔᲚᲔᲗᲘ ᲨᲝᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲬᲐᲕᲐᲚᲗ

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ არწასაგების წაგებამ დიდად დაგვწყვიტა გული. ამიტომაც ლისაბონიდან დაბრუნებული ჩვენი ნაკრების ერთერთი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი უგუნებოდ გახლდათ და მატჩისადმი მიძღვნილმა პრესკონფერენციამაც უხალისოდ ჩაიარა.

ლაპარაკი ფრანგული შეკრებიდან დავიწყეთ. როგორც ჭეიშვილმა განაცხადა, შეკრება კარგ პირობებში ჩატარდა და მოთამაშეებს მოსამზადებლად ხელს არაფერი უშლიდა. ერთი ეგაა, რომ ლეგიონერებმა ჩამოსვლა მოგვიანებით შეძლეს და გუნდთან შეთამაშებისთვის დრო ცოტა ჰქონდათ. ორშაბათს ჩამოსულმა ლეგიონერებმა ნაკრებთან ერთად მხოლოდ ორი დღე ივარჯიშეს, მერე კი ყველანი ერთად პორტუგალიაში გაფრინდნენ.

თავად მატჩზე საუბარისას მალხაზ ჭეიშვილმა განსაკუთრებით გამოარჩია პირველი ტაიმი, რომელიც ბორჯღალოსნებმა 11:3 დათმეს. მასპინძლები უფრო შეთამაშებულები ჩანდნენ და გუნდური სულიც მეტად ეტყობოდათ. მათ ხელით თამაშში და პოზიციურ ბრძოლებში გვაჯობესო — გვითხრა ბორჯღალოსნების თავკაცმა.

გარდა ამისა, მისივე თქმით, პორტუგალიელებს უფრო ეტყობოდათ გამარჯვების წყურვილი, ვიდრე ჩვენს ბიჭებს.

თამაშისას ორი მეორეხაზელი, მჭედლიშვილი და გორგოძე მოვისაკლისეთ, რამაც უფრო აგვირია გეგმები, მაგრამ წაგების მიზეზად ამას არ დავასახელებდი. მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც ბევრჯერ შევცდით. თუმც გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ... შემთხვევით არაფერი ხდება და პორტუგალიამ დამსახურებულად გაიმარჯვაო.

მალხაზ ჭეიშვილის არ უხსენებია იტალიელი არბიტრი, რომელმაც პირველი ნახევარი მართლაც ცუდად იმსაჯა. იყო რამდენიმე ეპიზოდი, როდესაც გვერდითმა არბიტრმა პორტუგალიელთა დარღვევაზე მიუთითა, მან კი ყურიც არ შეიბერტყა. შერკინებას რომ 180 გრადუსით ატრიალებდნენ მასპინძლები, ესეც რამდენჯერმე გამორჩა, თუმც...

ბატონ მალხაზს მსაჯი არ უხსენებია და მართალიც იყო. უკანასკნელი ლელო ჩვენვე ვაჩუქეთ მეტოქეს და მსაჯი აქ არაფერ შუაშია.

იმაზეც ილაპარაკა ნაკრების თავკაცმა, თუ რამდენად გამართლებული იყო ბოლო წუთებზე ბურთის ფეხით ამოტანის მცდელობა, როდესაც თამაშს იგებ და ბურთის შენარჩუნება ხელში უფრო უპრიანია. როგორც ჭეიშვილი ამბობს, ჩვენი ნაკრები ტექნიკურად ძალიან მიკოჭლებს. ბურთის დაჭერა მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე გაწვება, გვიმძიმს და სხვა გზა აღარ გვრჩება, გადაკიდებით უნდა გავიდეთ ფონს.

რისი ბრალია ეს ყველაფერი? რისი და კლუბებში ბავშვობიდან აჩვევენ მოზარდებს ასეთ რაგბის. ბურთს ხელი სტაცე და დააწექი, გათელე ვინც გზად გადაგეყაროს, მიაწექი ბოლომდე. პასის კულტურა კი არ არსებობს. სანამ ბურთის ხაზში გათამაშებას არ ვისწავლით, პორტუგალიის დარი მკერცხლი და მოძრავი ნაკრები ყოველთვის გვაჯობებს.

ტრავმების გამოც გამოგვაკლდა რამდენი მორაგბე. არ იყო პალიკო ჯიმშელაძე, მესამე ხაზმა იაშვილი, ჩხაიძე და მაისურაძე მოისაკლისა, დადუნაშვილს კი ისეთი კონტრაქტი ჰქონია საკუთარ კლუბთან, უუფლებო გლადიატორისს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე სპორტსმენისს და კლუბმაც ნაკრებში სათამაშოდ არ გამოუშვა.

ცოტაც მომავალ მატჩზე: უკრაინა ხელწამოსაკრავი მეტოქე არაა და ნაკრების თავკაცებს მათი პორტუგალიასთან თამაშის ვიდეოჩანაწერიც აქვთ. საქმეს სერიოზულად მივუდგებით და თუმც გამარჯვება ოლი არ იქნება, იმედია, წარმატება ჩვენ დაგვრჩებაო — აი, პრესკონფერენციის ბოლო აკორდიც.

ჩვენც რაღა დაგვრჩენია, იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

ᲚᲐᲓᲝ ᲤᲣᲚᲣᲩᲘᲫᲔ

ᲙᲐᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲭᲣᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐ

ეს დრამატული ამბავი უელსელ მორაგბეთა ინგლისელებზე ძლევამოსილ გამარჯვებას დაუკავშირდა. შაბათს, როცა ექვსი ერის თასის პირველ ტურში გათამაშების პროგრამით კარდიფში უელსის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისელებზე გამარჯვებას (11:9) ზეიმობდა, მათ სიხარულს, ბუნებრივია, მათივე გულშემატკივრები იზიარებდნენ. ერთნი ლუდით აღნიშნავდნენ გამარჯვებას, მეორენი ვისკით, მესამენი კი ზედ ტაშფანდურსაც აყოლებდნენ, მაგრამ ის, რაც ერთმა სიხარულით გაგიჟებულმა შერეკილმა მოიმოქმედა, წარმოუდგენელი იყო: ადგა და საკუთარი თავი... დაისაჭურისა.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ინგლისისა და უელსის ნაკრებების წინასამტჩო ვნებათაღელვისას დაიწყო, როცა 26 წლის ჯეფ ჰიუიში ძმაკაცებთან ერთად პაბში ლუდს ეძალებოდა. ეძალებოდა და თან უელსელთა გამარჯვების შანსებზე სულ უფრო ცხარედ საუბრობდა. როცა ცოტათი შეზარხოშდა, თქვა, თუ უელსელები მოიგებენ, დანას ავიღებ და... ყველრეს გამოვიჭრიო.

რა თქმა უნდა, ჰიუიშის დანაპირები ყველამ ძთვრალის ბოდვად ჩათვალა, მაგრამ ეს შერეკილი ისეთი სერიოზული ყოფილა, როგორც არასდროს.

უელსელთა გამარჯვებისთანავე ჰიუიში შინისკენ გავარდა. ერთი ხელი დანას წამოავლო, მეორე თავის სამემკვიდრეო იმედს და გამოიჭრა, თუმცა, არც კასტრაციის მერე დაშოშმინებულა, თავისი მოკვეთილი ორგანოებით ხელში გარეთ გამოვარდა და ისევ იმ პაბისკენ გაუტია ძმაკაცებთან, რათა მათთვის მოკვეთილი საკუთარი „კვერცხები“ ეჩვენებინა, მაგრამ უბედურმა ეს ვეღარ შესძლო — 200 მეტრის გავლის მერე დავარდა, მერე კი დაუყოვნებლივ უახლოეს ჰოსპიტალში გააქანეს.

აღმოჩნდა, რომ საკუთარი თავის დამკოდველი მთლად დალაგებული არ ყოფილა და გონებრივად ჩამორჩებოდა.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲑᲧᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ



ᲐᲘ, ᲥᲐᲚᲘ

ᲡᲐᲛ ᲝᲙᲔᲐᲜᲔᲖᲔ ᲐᲤᲠᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲠᲔ

ᲓᲘᲓᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲛᲐ ელენ მაკარტურმა იალქნიანი ნავით ეულად გარსაქვეყნო მოგზაურობაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. მან შარშან, 28 ნოემბერს აიღო სტარტი, გუშინწინ ღამით კი გადაკვეთა ბრიტანეთის სანაპიროების საფინიშო ხაზი. კუნძულ უაიტზე მცხოვრებმა ელენ მაკარტურმა 40 ათას კილომეტრიანი წრე 71 დღეში 14 საათში, 18 წუთსა და 33 წამში შეკრა.

„ქანცი გამძვრა, მაგრამ ძალიან მიხარია რომ აქ ვარ. მოგზაურობა, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო. ბოლოს და ბოლოს, შემიძლია აღარ ვიფიქრო ამ მოგზაურობაზე, მოვდუნდე და გავერიო ხალხში, რაც ძალზე მენატრებოდა. მჯეროდა, რომ რეკორდის დამყარება შემეძლო, მაგრამ არ მეგონა, თუ მიზანს პირველსავე ცდაზე მივაღწევდი“ — თქვა ფინიშის მერე მაკარტურმა.

ახლანდელი მოგზაურობის მერე მაკარტურმა თავის ტრიმარან B&Q-ის იალქანი კვლავ აუშვა და გეზი აიღო შინისკენ, სადაც გუშინ შუადღისას მივიდა.

და ბოლოს, შეგახსენებთ, რომ ამ 28 წლის ქალმა ფრანგი კაცის ფრენსის ჟუაიონის შარშანდელი თებერვლის რეკორდი (72 დღე, 22 საათი, 54 წუთი, 22 წამი) გააუმჯობესა.

სხვათა შორის, მაკარტურისთვის ეს პირველი გარსაქვეყნო მოგზაურობა არ იყო. 2001 წელს იგი VENDEE GLOBE-ის სახელგანთქმულ გარსაქვეყნო რბოლის ფინიშთან მეორე იყო.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲑᲧᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲣ, ᲠᲐ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ!

ᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲒᲐᲡᲘ ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ

ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ განშორების შემდეგ ანდრე აგასი აშშ-ის გუნდს უბრუნდება. ეს ვეტერანმა ვარსკვლავმა ამერიკელთა კაპიტანთან, პატრიკ მაკინროისთან შეხვედრისა და საუბრის შემდეგ გადაწყვიტა. კერძოდ, 4-6 მარტს იგი დევისის თასზე ხორვატიასთან პირველი რაუნდის მატჩში ითამაშებს, ხოლო შემდეგ გამოჩნდება.

მეორე მხრივ, 34 წლის მეჩოგნემ ყველას გასაგონად დასძინა, ჩემი ასეთი ნაბიჯი სულაც არ ნიშნავს, რომ ამიერიდან ნიადაგ კორტზე ვიდგებიო.

„კაპიტანმა და გუნდის სხვა მოთამაშეებმა იციან, რომ ცხოვრება კარიერის ამ ეტაპზე, ასეთ დონეზე მუდმივად თამაშის საშუალებას არ მაძლევს, — განუცხადა აგასიმ საზოგადოებას აშშ-ის ჩოგბურთის ასოციაციის მეშვეობით.

დავაზუსტებთ, რომ დიდი სლემის რვაგზის გამარჯვებული, რომელიც აპრილში 35 წლისა გახდება და ორი შვილის მამაა, დევისის თასზე 2000 წლის შემდეგ აღარ გამოსულა. სხვათაშორის, თავდაპირველად მას მაკინროისთვის უთქვამს, რომ გუნდში დაბრუნებას გონივრულ გადაწყვეტილებად არ მიიჩნევს, რადგან მისი რწმენით თუ თამაშობ, ყოველ შეხვედრაში უნდა დაიხარჯო. მაგრამ აგასის უარმა მაკინროის მაინც არ დაახევინა უკან. იგი ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ აგასისთან ლას ვეგასში ჩაფრინდა და კიდევ ერთხელ ელაპარაკა.

მაკინროი: „ვუთხარი, რომ მისგან თავგანწირვას არც მე ვითხოვდი და არც ჩვენი გუნდის რომელიმე წევრი. ავუხსენი, რომ მიდგომა, „ყველაფერი ან არაფერი“ მას არასწორ გზაზე დააყენებდა. შევეცადე დამერწმუნებინა, რომ მისგან მატჩების გამოტოვება ხელშეკრულების დარღვევად არ უნდა ჩაგვეთვალა“.

ანდრე აგასი დევისის თასზე სამჯერ ყოფილა ტრიუმფატორი გუნდის წევრი. მისი პირადი შედეგი გახლდათ 30 მოგება და 5 წაგება.

აღსანიშნავია, რომ აგასის დაბრუნება კომერციული თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. კერძოდ, კალიფორნიაში, კერსონში ხორვატებთან მომავალი შეხვედრების ბილეთების ნახევარი ჯერ კიდევ გასაყიდია და ბებერი ვარსკვლავის სახელმა შესაძლოა, ვითარება შემოატრიალოს.

მაკინროი დასძენს: „მისი აურის, მისი პიროვნული თვისებების და მისი დიდი სპორტსმენობის გამო ეჭვი არ არის დევისის ,თასის ეს ეტაპი მნიშვნელოვან შეჯიბრებად გადაიქცევა“.

აშშ-ის გუნდს დევისის თასი ისტორიის მანძილზე 31-ჯერ მოუგია, რაც რეკორდი გახლავთ, მაგრამ 1995 წლის შემდეგ ყოველი ტურნირი წარუმატებელი გამოუდის. ასეთი „გვალვა“ ამერიკელებს 1926-37 წლების ჩავარდნის შემდეგ არ ჰქონიათ.

ᲢᲣᲢᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ



ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲗ

ᲗᲣ ნჰლ-ის 2004-05 წლების სეზონი გაუქმდება, აქედან ფრიად საინტერესო მოვლენის მოწმენი გავხდებით — ცნობილი რუსი ჰოკეისტი, „მონრეალის“ ფორვარდი ალექსეი კოვალიოვი მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას აპირებს, თან საკუთარი თვითმფრინავით. მას განუზრახავს ჰოკეის მოყვარულ ქვეყნებში შეისვენოს, შეხვდეს აშშ-ის რუსეთი, ჩეხეთისა და სკანდინავიური ქვეყნების ჰოკეის მოყვარულებს.

ალბათ იცით, რომ ალექსეის მრავალი ჰობი აქვს, მათ შორის უმთავრესი თვითმფრინავის მართვაა. მფრინავის პროფესია მან ნჰლ-ში თამაშის დროს აითვისა და რამდენიმე წლის წინ არ პატარა თვითმფრინავიც შეიძინა. მას შემდეგ ხვეწს ალექსეი თავის ოსტატობას და აი, საინტერესო პროექტიც ასე დაიბადა. თუმც, ცხადია, თუ სეზონი გადარჩა, რუსი სიამოვნებით გადადებს ფრენას სამომავლოდ.

და ერთიც: ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, კოვალიოვის ამ ფართო და მრავალფეროვანმა ინტერესებმა განაპირობა ის, რომ იგი ნჰლ-ის ერთ-ერთი მთავარი მშვენება ვერ გახდა და მხოლოდ მაღალი კლასის მოთამაშედ ითვლება.

ᲡᲐᲛᲒᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

მსოფლიოს XIX ჩემპიონატი. ვაჟები

ტუნისი. 23 იანვარი – 6 თებერვალი

ესპანური უპირველესი

კვირას ტუნისში დასრულებულ კაც ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატში ესპანეთის ნაკრებმა ზეისტორიული, ფენომენალური გამარჯვება მოიპოვა. ეს საერთოდ ესპანეთისთვის პირველი ტიტულია სპორტის სათამაშო სახეობებში.

მოქმედ ჩემპიონ ხორვატიასთან ფინალურ მატჩში პირინეელებმა მოულოდნელი, თუმც სავსებით დამსახურებული წარმატება იზეიმეს: საჩემპიონო შეხვედრაში კონკურენტზე ამგვარი გამანადგურებელი უპირატესობა უიშვიათესი ამბავია. გამარჯვებული ფაქტობრივად პირველივე ტაიმში გაირკვა, როცა 2003 წლის გმირები ესპანელებმა ცხრა ბურთით ჩამოიტოვეს, შესვენების შემდეგ კი სხვაობა უფრო კატასტროფული გახდა — 33:20 საფინალო სასტვენამდე 14 წუთით ადრე.

ახალმა ჩემპიონებმა უსწრაფესი გარღვევებით და შეტევაში ფლანგების აქტიური ჩართვით მეტოქეს თავგზა აუბნიეს. არადა, ესპანელთა ხნოვან გუნდს (საშუალო ასაკი 28,8 წელია) სიჩქარის მხრივ თითქოს პრობლემები უნდა ჰქონოდა, პირიქით კი მოხდა ბევრად ახალგაზრდა (26,7) ექსიუგოსლავიელები მხოლოდ ათ წუთს გაუძლიანდნენ, მერე კი „დაქოქილმა“ ესპანეთმა ისე აიწყვიტა, მსოფლიოს ნაკრებიც ვერაფერს დააკლებდა.

ორიოდე თვის წინ გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნული ხუან კარლოს პასტორი და მისი „დევები“ ეროვნული გმირები გახდნენ. აღსანიშნავია, რომ თექვსმეტივე ხელბურთელი ესპანურ კლუბებში თამაშობს, პასტორიც პარალელურად მშობლიურ „ვალიადოლიდს“ მოძღვრავს. ოქროს მედალოსნები გახდნენ: მეკარეები დავიდ ბარუფეტი (34 წლის) და ხოსე ხავიერ ომბრადოსი (32), ხუან გარსია (27, გაიტანა 55 გოლი), იკერ რომერო (24; 45), მატეო გარალდა (35; 41), ალბერტ როკასი (22; 32), ალბერტო ენტრერიოსი (23; 29), როლანდო ურიოსი (33; 27), რუბენ გარაბაია (26; 27), მარიანო ორტეგა (33; 19), დემეტრიო ლოსანო (29;18), ხუან პერესი (31; 15), ხოსე მარია როდრიგესი (25; 15), ფერნანდო ერნანდესი (31; 12), დევიდ დევისი (28; 11) და რაულ ენტრერიოსი (23; 9).

ახალმა ტრიუმფატორებმა ტუნისში რვა თამაში მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ — ხორვატებთან პირველ ჯგუფურ ეტაპზე.

ესპანეთის ათივე მატჩი

იაპონია	41:22
ავსტრალია	51:19
შვედეთი	33:26
ხორვატია	31:33
არგენტინა	35:28
გერმანია	32:28
სერბეთი	28:28
ნორვეგია	31:24
ტუნისი	33:30
ხორვატია	40:34

ბურთების შეფარდება 355:272, ანუ გამოდის, რომ ჩემპიონებს ყოველ შეხვედრაში საშუალოდ 35,5 გოლი გაჰქონდათ, რაც საუკეთესო შედეგიანობაა.

ცხადია, შედგა ყველა ვარსკვლავისა შვიდეული, რომელშიც ჩემპიონთა კაპიტან მატეო გარალდას გარდა შევიდნენ სერბი არპად შტერბიკი (25 წლის, თამაშობს ესპანეთის „სიუდად რეალში“), რუსი ედუარდ კოკშაროვი (29, სლოვენიის „პივოვარნა“), ჩეხი დავიდ იურიჩეკი (30, საფრანგეთის „მონპელიე“), ტუნისელი ვისემ ჰმამი (23, ტუნისის „ესპერანსა“) და ხორვატები მირჩა ძომბა (27, „სიუდად რეალი“) და ივანო ბალიჩი (25, ესპანეთის „პორტლენდ სან ანტონიო“).

ბალიჩი იმავდროულად მთელი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

81 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი ჰმამი გახდა. ტუნისელს ერთი ბურთით ჩამორჩა რუსთა კაპიტანი კოკშაროვი, თუმც მან ერთი თამაშით ნაკლები ჩაატარა. მესამეა 62-ჯერ გამტანი ძომბა, შემდეგ მოდიან ჩეხი იან ფილიპი და სლოვენიელი სერგეი რუტენკა, რომლებმაც 58-58 ზუსტი სროლა მიითვალეს.

14 000 მაყურებლით გადაჭედილ ქალაქ რადესის შვიდი ნოემბრის სახელობის სპორტის სასახლეში საჩემპიონო ვეება თასი მატეო გარალდამ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის, ეგვიპტელ დოქტორ ჰასან მუსტაფას ხელიდან ჩაიბარა. ესპანეთი გახდა მეცხრე ქვეყანა, ვისაც ტიტული მოუპოვებია. საინტერესოა, რომ ბოლო ოცდაათწლეულში ვერავინ შეძლო ზედიზედ ორჯერ გაჩემპიონება.

გია ახალაძე

შეტევაშია ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე ივანო ბალიჩი



ასე გამოეხმაურა ესპანური „მარკა“ თავისიანების ჩემპიონებას.

პასტორი და მისი ჩემპიონები

„GRACIAS PASTOR!“ „ESPANA CAMPEON!“ — გაჰყვიროდნენ მადრიდის „ბარახას“ აეროპორტში შეკრებილი გულშემატკივრები, როცა მსოფლიოს ჩემპიონი მათი ხელბურთელთა ნაკრები ტუნისიდან სამშობლოში დაბრუნდა. თვითმფრინავიდან გადმოსული ეროვნული გუნდი დამხვდურთა აღტაცებული ტალღის ტყვეობაში მოექცა.

„ჩვენ ოცნება სინამდვილედ ვაქციეთ, ბედნიერი ვარ, რომ ყველა ესპანელის ყურადღება, მიუხედავად იმისა, ხელბურთის გულშემატკივარია თუ არა, ტუნისისკენ იყო მიპყრობილი. მინდა, ნაკრების მოთამაშეებს და მთელ ჩვენს ინჩადას უდიდესი მადლობა ვუთხრა — განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხუან კარლოს პასტორმა თანამემამულე მედიასთან საუბარში.

„კასტილიელმა რაინდებმა“ (იქაურთა საპატიო მეტსახელია) ჩემპიონატის ფინალში ესპანეთისთვის აქამდე უსიამოვნო ტრადიცია დაამსხვრიეს — ამ ქვეყნის ნაკრებებს სპორტის არც ერთ სახეობაში პირველობა არ ეზეიმათ და ხორვატიის ძლევით გარალდამ, გარსიამ და კამპანიამ მშობლიურ ინჩადას ნავსის გატეხვით უდიდესი სიხარული მოუტანა. „ბევრს აქამდე ეგონა, რომ ხელბურთი ესპანეთში ხალხს ნაკლებად აინტერესებს, თუმცა ეს სიმართლე არ არის, ამიერიდან ყველას ეცოდინება, სპორტის ამ სახეობაში რაოდენ თავგამოდებული გულშემატკივრებიც გვყავს“ — აღნიშნა პასტორმა, რომლის ნათქვამის სისწორეც ადვილად მტკიცდება: ხორვატებთან „რაინდების“ ბრძოლას ესპანეთში მხურვალედ ქომაგობდა ტელევიზორებს მიჯაჭვული 3 530 000 მაყურებელი, რაც ხელბურთის მასშტაბით მართლაც სარეკორდო რიცხვია.

თავად ჩემპიონთა მწვრთნელი კი... თანამდებობის დაკარგვას ძლივს გადაურჩა. საქმე ის გახლავთ, რომ ხელბურთის ფედერაციაში მალე პრეზიდენტის არჩევნები იქნება, ხოლო ხუან კარლოსზე დანასისხლად გადაკიდებულ მავან იქაურ ჩინოვნიკ ჩეჩუ ფერნანდესს ტუნისის ფიესტამდე უთქვამს, მე თუ ფედერაციის თავკაცი გავხდი, ნაკრებს პასტორს აუცილებლად ჩამოვაცილებო. თუმც ეს ყველაფერი ჩემპიონობამდე, ახლა კი სენიორ ჩეჩუ თურმე თავის სიტყვებს გადაჭრით უარყოფს...

„მარკას“ ჟურნალისტებს მატეო გარალდა, ნაკრების კაპიტანიც გაესაუბრა: — „ესპანეთი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა! როგორ ადვილია ამ სიტყვების თქმა, არადა, ყოველივე ამის უკან უზარმაზარი შრომა და ოფლის ღვრაა ჩადებული. ხორვატებთან და საერთოდ მუნდიალზე გამარჯვება გუნდის, ნებისმიერი ჩვენგანის და საერთოდ ესპანეთის დიდი ტრიუმფია. რა თქმა უნდა, ვფიქრობდი, რომ გულშემატკივრები გვიქომაგებდნენ, თუმც რაც ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ხალხის სიყვარული უდიდესი ბედნიერებაა ჩემთვის“ — ალიარებს გარალდა, რომელიც ოდენ საერთაშორისო სიყვარულით არ დაუჯილდოებიათ — მსოფლიო ჩემპიონატის მერე მატეო ოლ სტარის წევრიც გახდა.

ლადო ხომერიკი

ყველა ჩემპიონატის საუკეთესო ხუთეული

1938	გერმანია, ავსტრია, შვედეთი, დანია
1954	შვედეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, დანია
1958	შვედეთი, ჩეხოსლოვაკია, გდრ, დანია, პოლონეთი
1961	რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი, გდრ, დანია
1964	რუმინეთი, შვედეთი, ჩეხოსლოვაკია, გფრ, სსრკ
1967	ჩეხოსლოვაკია, დანია, რუმინეთი, სსრკ, შვედეთი
1970	რუმინეთი, გდრ, იუგოსლავია, დანია, გფრ
1974	რუმინეთი, გდრ, იუგოსლავია, პოლონეთი, სსრკ
1978	გფრ, სსრკ, გდრ, დანია, იუგოსლავია
1982	სსრკ, იუგოსლავია, პოლონეთი, დანია, რუმინეთი
1986	იუგოსლავია, უნგრეთი, გდრ, შვედეთი, ესპანეთი
1990	შვედეთი, სსრკ, რუმინეთი, იუგოსლავია, ესპანეთი
1993	რუსეთი, საფრანგეთი, შვედეთი, შვეიცარია, ესპანეთი
1995	საფრანგეთი, ხორვატია, შვედეთი, გერმანია, რუსეთი
1997	რუსეთი, შვედეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ისლანდია
1999	შვედეთი, რუსეთი, იუგოსლავია, ესპანეთი, გერმანია
2001	საფრანგეთი, შვედეთი, იუგოსლავია, ეგვიპტე, ესპანეთი
2003	ხორვატია, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, რუსეთი
2005	ესპანეთი, ხორვატია, საფრანგეთი, ტუნისი, სერბეთი

ტიან შანი, ანუ სნოუბორდი

ჰეი, ასეც ხდება: თუ სკეიტბორდით ლაღობა გსურს, მთის წვერს ცხენით უნდა მისწვდე. ეს ალმაატის ახლოსაა, ზედ ტიან შანის კიდეზე. ცისფერი მთებია, მოკლედ.

REUTERS ალმაატიდან

გრძელი გზა დიუნებში

REUTERS ტუკედან

დიახ, სწორედ ჩრდილოეთ საფრანგეთის დიუნებში უწევთ გზის კვალვა ამ მოტომხედრებს. ტოკეის განთქმული შეჯიბრი უკვე ოცდამეათედ ტარდება და გვარიანი სახელიც აქვს.

დროგბა სამშობლოში

სპილოს ძვლის ნაპირი, აი მისი სამშობლო. აბიჯანში, ამ ქვეყნის დედაქალაქში დიდია დროგბა, რომელიც ახლა „ჩელსიში" თამაშობს, იშვიათი გმირია. ერთ დროს კაკაოსა და ყავის გვარიან ექსპორტიორ სპილოს ძვლის ნაპირს ახლა სამოქალაქო ომი სტანჯავს.



REUTERS აბიჯანიდან

პჰუკეტზე

REUTERS პჰუკეტიდან

მარტინა ჰინგისი კვლავ ტაილანდშია. ჩოგბურთი ჩოგბურთად და, მარტინა იმ ბავშვებს შეწევია, ვისი იჯარებიც გვარიანად დაზარალდნენ კუნძულ პჰუკეტზე.

გარეკე, ტროიკავ

მოსკოვში, უფრო კი კრილატსკოეს განთქმულ კომპლექსში, სადაც ციგურაობის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს გამარჯვებულებს ასე ჩამოატარებენ ხოლმე. ამ ჯერზე ტროიკაში გერმანელი ანი ფრაიზინგერი და ამერიკელი შანი დევისი სხედან — ქალთა და კაცთა გამარჯვებულები. ცხენებს კი ფეხი არ უცურავთ, ანუ ჩლიქი.



REUTERS მოსკოვიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მელაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge